ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

28 ნოემბრიდან!

ახალ თაობასთან“ ერთად

გრიგოლ აბაშიძის

დიდი ღამე 2 ტომად

ტომი 2

აფცბ უფპტსსფყ ტჰსფლ § კფჰბ




( 2 №) ყჯტგ,ტ3ბ7 )!§

1283 (6594)

აფცბ5 №) სტსჰბ



# დავით უსუფაშვილი ძალოვნების წინააღმდეგ

გვ.3

„მოდით, ვაღიაროთ, რომ რაღაცები შეგვეშალა“



პარლამენტმა მოსმენების შესახებ კანონი დაამტკიცა

## ვის შეუძლია რუსეთის შეჩერება

გვ.2



როგორც ცნობილი გახდა, რუსეთმა და ოკუპირებულმა ე.წ. სამხრეთ ოსეთმა პარტნიორობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულება 2015 წლის დასაწყისში შეიძლება გააფორმონ.

ISSN 1987-9385

9 771987 938006

## ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენი ქვეყნის სირცხვილი, რომელიც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა“

გვ.2





გვ.4

## დოდო გუგეშაშვილი: ემზარ კვიციანის მიმართ გამოტანილი განაჩენი თავზარდამცემია!“

## ალასანიამ ივანიშვილის კითხვებს პასუხი არ გასცა

გვ.2



# ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენი ქვეყნის სირცხვილი, რომელიც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა“

ნათია ხურცილავა

მთავრობის სხდომაზე გუშინ პრემიერ-მინისტრმა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისთვის სანდრო გირგვლიანის საქმეზე ბრალის დამძიმება შეაფასა.

ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ იმედი მაქვს, მართლმსაჯულება აღდგება და კიდევ ერთხელ იზეიმებს სამართლიანობა.

მთავრობის სხდომა ღარიბაშვილმა პროკურატურის მიერ სანდრო გირგვლიანის საქმეზე ახალი გარემოების განხილვით დაიწყო.

როგორც პრემიერმა ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დასაწყისში აღნიშნა, მისთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის, ძალიან სასიხარულოა, რომ პროკურატურამ გირგვლიანის საქმე გამოიძია.

— ეს იყო ძალიან მძიმე მოვლენა, ჩვენი ქვეყნის სირცხვილი, რომელიც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა. ეს კიდევ ერთი მანიშნებელია იმისა, რომ წინა ხელისუფლების



დროს ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულს, ისეთებს, როგორიცაა ადამიანების წამება, ძალიან მძიმე დანაშაულები, მათ შორის უკანონო ფარული მიყურადება, მასობრივი უკანონო მოსმენები. გასაოცარია ის რეაქცია, რაც არის ამჟამად ჩვენი ოპონენტების მხრიდან. 9 წლის განმავლობაში ჩვენი მოსახლეობა ითმენდა უსამართლობას და ამას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვა. — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გუშინ კიდევ ერთი განცხადება გააკეთა ირაკლი ღარიბაშვილმა. პრემიერის განცხადებით, ფარული მოსმენების ე.წ. გასაღებთან დაკავშირებით ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის საკანონმდებლო პაკეტის მესამე მოსმენით მიღებას მიესალმება.

როგორც პრემიერმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, პარლამენტმა სახელმწიფოებრივად სწორი, გონივრული გადაწყვეტილება მიიღო.

— მიმაჩნია, რომ ეს იყო ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ და, იმედი მაქვს, ამ საკითხს ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესმება. — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# ვის შეუძლია რუსეთის შეჩერება

ნათია ხურცილავა

რუსეთის ფედერაცია აფხაზეთთან გაფორმებული მეკავშირეობის შესახებ ხელშეკრულების შემდეგ უფრო გაფართოებულ ხელშეკრულებას ცხინვალთან დებს. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მინისტრ პაატა ზაქარეიშ-



ვილის განცხადებით, თუ ე.წ. ხელშეკრულება ოკუპირებულ ცხინვალთანაც გაფორმდება, ის, აფხაზეთის მსგავსად, უკანონო იქნება.

ზაქარეიშვილის თქმით, ეს დოკუმენტი მსოფლიოს მიერ ისევე იქნება აღქმული, როგორც ოკუპირებული აფხაზეთის შემთხვევაში.

— ამაზე ჯერჯერობით საუბარია მხოლოდ ცხინვალიდან და თანაც ვარაუდის დონეზე, თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ეს განხორციელდეს, რაც ისეთივე უკანონო იქნება და არავითარი საფუძველი არ ექნება, როგორც აფხაზეთის შემთხვევაში. ეს მსოფლიოს მიერ აღქმული იქნება, როგორც აბსოლუტურად არარსებული დოკუმენტი, ისევე, როგორც იყო აფხაზეთის მიმართ. — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

რაც შეეხება მექანიზმებს, მინისტრის თქმით, ყოველ ხელშეკრულებაზე მთელი მსოფლიოა ჩართული, რაც აქამდე არასდროს ყოფილა.

— მექანიზმი არის უპრეცედენტო, რაც ხდება ჩვენი ხელისუფლების მიერ და არ ხდებოდა სააკაშვილის დროს ანუ ყოველ ხელშეკრულებაზე ჩართული გვყავს მთელი მსოფლიო, რაც სხვა დროს არასდროს ყოფილა. — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

აღნიშნულ საკითხზე საგარეო უწყების ხელმძღვანელიც აკეთებს კომენტარს. თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, მოსალოდნელი იყო, რომ ე.წ. შეთანხმების გაფორმება ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთთანაც დაიგეგმებოდა.

მინისტრის თქმით, ამ შემთხვევაში საქართველოს ბერკეტი საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერაა.

— ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტია. გუშინ ჩემი მოადგილე დავით დონდუა ეუთო-ს მუდმივი საბჭოს სხდომაზე გამოვიდა. იყო ძალიან სერიოზული მხარდაჭერა როგორც აშშ-ის, ასევე ევროკავშირის, რომელსაც შემდგომ 11 ქვეყანა შეუერთდა. ბაზელში მომავალ კვირას ეუთოს მინისტრთა შეკრებაა. მომავალ კვირასაა ნატოს მინისტერიალი. ყველა ეს ფორმატი იქნება გამოყენებული და ამ თემას მიეძღვნება. — განაცხადა ბერუჩაშვილმა.

რაც შეეხება პრეზიდენტ მარგველაშვილის იდეას, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევას, საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ამაზე მუშაობა მიმდინარეობს, რომელშიც ყველა საელჩოა ჩართული.

— კონსულტაციები მიმდინარეობს როგორც მუდმივ, ასევე არამუდმივ წევრებთან. მიდის სამუშაო პროცესი და, იმედი მაქვს, კონკრეტულ შედეგებს მივიღებთ. გაგზავნილია როგორც ინსტრუქციები, ასევე ნოტებიც, დოკუმენტიც და საბჭოს სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით საელჩოები მუშაობენ. — განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა და ჟურნალისტებს იმ ინფორმაციების გადამოწმება სთხოვა, თითქოს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოსაწვევად დოკუმენტები არ არის გაგზავნილი.

საგარეო საქმეთა მინისტრი არ გამორიცხავს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებაზე არსებული შეთანხმების საფუძველზე შვეიცარიულ კომპანიასთან დასადები ხელშეკრულება გადაიხედოს.

ასე უპასუხა თამარ ბერუჩაშვილმა კითხვას, თუ რატომ არ აფორმებს ქართული მხარე ხელშეკრულებას შვეიცარიულ კომპანიასთან, რომელმაც რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ტვირთბრუნვის მონიტორინგი უნდა განახორციელოს.

— ამ საკითხზე მუშაობა მიდის. მე უნდა გადავხედო. ახალი რეალობა ასევე მოითხოვს ამ ინსტრუმენტის კიდევ უფრო სხვანაირად გამოყენებას. — განაცხადა ბერუჩაშვილმა.

რაც შეეხება საკითხს, გაგრძელდება თუ არა აბაშიძე-კარასინის ფორმატი განვითარებული მოვლენების ფონზე, თავად ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ შეხვედრის მხრივ პაუზა აქვთ აღებული.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, გრიგორი კარასინთან შეხვედრა ჯერ დაგეგმილი არ არის.

აბაშიძის თქმით, კომუნიკაციის ამ არხის შენარჩუნება აუცილებელია, რადგან არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან კომუნიკაციის არხი არ ჰქონდეს.

— შეხვედრების თვალსაზრისით ჩვენ ახლა პაუზა გვაქვს აღებული. რაც შეეხება თვითონ კომუნიკაციის ამ არხის შენარჩუნებას, ვფიქრობ, რომ აუცილებელია, რუსეთთან რაღაც ფორმით კომუნიკაციის არხი გვქონდეს. ამ ქვეყანასთან ჩვენ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები. არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან კომუნიკაციის არხი არ ჰქონდეს. უკრაინასაც კი, რომელსაც ჩვენზე რთული ურთიერთობა აქვს რუსეთთან, სხვადასხვა ურთიერთობა აქვს რუსეთთან და, სხვათა შორის, დიპლომატიური ურთიერთობაც არ გაუწყვეტია რუსეთთან. მოგვწონს თუ არ მოგვწონს სამეზობლო, მასთან კონტაქტი უნდა გვქონდეს. — განაცხადა აბაშიძემ.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთსა და ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის ე.წ. ხელშეკრულების შესაძლო გაფორმებას გამოეხმაურა.

აბაშიძის თქმით, ამის წინააღმდეგ ქართული სახელმწიფოს მთავარი ბერკეტი საერთაშორისო კონტაქტების ამოქმედებაა.

— ჩვენი რესურსები საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზება და ყველა ფორმატში ამ საკითხის აქტუალიზებაა, რასაც ჩვენ უკვე ვაკეთებთ. საგარეო უწყება ძალიან აქტიურადაა ამაში ჩართული. მოგეხსენებათ, მინისტრმა საკმაოდ ისაუბრა იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს გაერო-ში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის ნატო-ში, ეუთო-ში, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირში. ამ დღეებში ეუთო-ს მინისტერიალია დაგეგმილი. საჭიროა ამ თემის მაქსიმალური აქტუალიზება. სამოქმედო გეგმაში, რომელიც ახლა ხორციელდება, ყველა შესაბამისი სახელისუფლებო შტო უნდა ჩაერთოს და მაქსიმალურად უნდა იყოს საერთაშორისო თანამეგობრობა ინფორმირებული. სამწუხაროდ, ესაა ბერკეტი, რომელიც ჩვენ რეალურად ხელთ გვაქვს. — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

როგორც ცნობილი გახდა, რუსეთმა და ოკუპირებულმა ე.წ. სამხრეთ ოსეთმა პარტნიორობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულება 2015 წლის დასაწყისში შეიძლება გააფორმონ.

ოკუპირებულ აფხაზეთთან გაფორმებული ე.წ. ხელშეკრულების ანალოგიური დოკუმენტის გაფორმებაზე ინფორმაციას ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვი ავრცელებს.

# ალასანიამ ივანიშვილის კითხვებს პასუხი არ გასცა

ნათია ხურცილავა

**თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ირაკლი ალასანია, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება და მაღალი დონის შეხვედრებს მართავს. თავდაცვის ყოფილ მინისტრს შეხვედრები აქვს სახელმწიფო დეპარტამენტში, ამერიკის პოლიტიკურ წრეებსა და სენატორებთან.**



ირაკლი ალასანია საერთაშორისო გამოცემებთან ინტერვიუებში უფრო თამამ განცხადებებსაც აკეთებს ყოფილი ლიდერის მისამართით.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ დღეს ქვეყანას არ მართავს ინსტიტუციები და ერთი ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული სახელმწიფოებრიობის ბედის გადაწყვეტა, ამიტომ ყველანაირი და ყველა სახის გადაწყვეტილებები იჭიმება. ის, რასაც სჭირდება ხუთი წუთი ანდა ერთი დღე, იჭიმება ორი თვე.

ალასანიას ამერიკული ვოიაჟის პარალელურად, მას მისი ყოფილი კოლეგები გაკეთებულ განცხადებებს უწუნებენ. ალასანიას ამერიკაში გაკეთებულ განცხადებებს თბილისში სოზარ სუბარი უწუნებს.

ირაკლი ალასანიას განცხადებას სუბარი უარყოფითად აფასებს. სოზარ სუბარსა და ირაკლი ალასანიას შორის პოლიტიკური დაპირისპირება განცხადებების დონეზე ახალი არ არის.

დევნილთა და განსახლების მინისტრი აცხადებს, რომ ივანიშვილს პრემიერობის დროს ალასანიას მიმართ მწვავე კითხვები ჰქონდა, რაზეც ალასანიამ პასუხი არ გასცა.

სოზარ სუბარის განცხადებით, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მთავრობის მუშაობაში არ ერევა და ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ამის შესახებ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა.

მინისტრის თქმით, ეს ირაკლი ალასანიამ თავადაც კარგად იცის.

— მაშინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი იყო, მთავრობის სხდომაზე მან ალასანიას მიმართ საკმაოდ მწვავე კითხვები დასვა, რომლებიც კვების ტენდერებსა და სხვა თემებს ეხებოდა. ირაკლი ალასანიამ მას პასუხი არ გასცა. მე მის ადგილზე, თუ იმ კითხვებზე პასუხი არ მექნებოდა, იმავე დღეს დავტოვებდი თანამდებობას და არ დაველოდებოდი, როდის გამაგდებდნენ და როდის მომხსნიდნენ. — განაცხადა სოზარ სუბარმა.

სოზარ სუბარის განცხადებითვე, სწორი არ არის, როდესაც თანამდებობიდან მოხსნის შემდეგ თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ალასანიას რაღაცები ახსენდება და ამ თემებზე საუბრობს.

დევნილთა მინისტრს არ დაუკონკრეტებია, თუ რა მწვავე კითხვები ისმოდა თავდაცვის ყოფილი მინისტრის მიმართ, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს მათ შორის ჯარისკაცების კვების საკითხებსაც ეხებოდა.

— თვითონ გაიხსენოს, რა კითხვები ისმებოდა. ეს ეხებოდა იმავე კვების თემას, თუმცა იყო სხვა საკითხებიც. — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# დავით უსუფაშვილი: მოდით, ვაღიაროთ, რომ ჩვენ რაღაცები შეგვეშალა“

## სპიკერმა ძალოვანი სტრუქტურები გააკრიტიკა

შორენა მარსაგიშვილი

**ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის საკანონმდებლო ინიციატივას ქვეყანაში დიდი ამბები მოჰყვა. ტრიუმვირატის შედევრის გამო ერთმანეთს საპარლამენტო უმრავლესობაშიც დაუპირისპირდნენ. გუშინ კი ამ კანონის განხილვა ერთი ოჯახური დაპირისპირების მიზეზი გახდა.**



პლენარულ სხდომამდე კანონმდებლები ბიუროზე შეიკრიბნენ, სადაც თავის პოზიციას აქტიურად და ემოციურად აფიქსირებდა თინა ხიდაშელი. მის განცხადებებს თავიდან მშვიდად ადევნებდა თვალს მისი თანამეცხედრე, პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილი, მერე კი მეუღლეს შენიშვნა მისცა. შენიშვნამ არ გაჭრა და უსუფაშვილი ცოლს ოთახიდან გაძევებით დაემუქრა.

— ქალბატონო თინა, ან დაწყნარდით, ან დატოვეთ ოთახი, — მიმართა სპიკერმა თავის მეუღლეს.

ცოტა ხანში თინა ხიდაშელმა ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის მიერ მომზადებული კანონპროექტთა პაკეტის განხილვაში მონაწილეობაზე პლენარულ სხდომაზე უარი განაცხადა და სხდომათა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა.

— მე მივხვდი ბიუროზე, რომ განსაკუთრებული ინტერესები არ არის განსხვავებული აზრების მიმართ. ეს რამდენიმე დღეა ჩანს. განსხვავებული აზრების გამოხატვის რეჟიმში ვიყავი, ამიტომ ბესელიას არ შევუქმნი დისკომფორტს და წარმატებები ვუსურვე მათ ამ კანონის მშვიდად განხილვაში. იმდენად განსხვავებულია ჩვენი პოზიციები, რომ ამ კანონის გაკეთილშობილებისთვის ცვლილებებით ლაპარაკს აზრი არ აქვს, თან იმ ფონზე, როდესაც მე პირადად მოწადინებული ვიყავი, რომ ამ ცვლილებებზე გვესაუბრა. კანონპროექტის ავტორმა კი ბიუროს სხდომაზე გვითხრა, რომ ეს მას არ აინტერესებს. გარწმუნებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოსმენები მაინც გავა ოდესმე, რადგან საქართველოში ის, რაც ხდებოდა, აღარ გამეორდება, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში თინა ხიდაშელმა.

თინა ხიდაშელთან ერთად კანონის განხილვაზე უარი განაცხადეს „თავისუფალმა დემოკრატებმაც“.

— კოლეგების კომპეტენციაში ეჭვი არ შემაქვს, თუმცა ამ კანონის მიღება არასწორად მიმაჩნია, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ფრაქციის წევრმა ირაკლი ჩიქოვანმა.

ისინი ვახტანგ ხმალაძის პროექტს უჭერდნენ მხარს. ეს პროექტი, რომელიც მოსმენების ერთგასაღებიან სისტემას გულისხმობს, კომუნიკაციების კომისიის ხელში უნდა იყოს. ეს პროექტი 2 დღის წინ კენჭისყრაზე ჩავარდა.

ამ კანონპროექტს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც უჭერდა მხარს. მისი თქმით, ვახტანგ ხმალაძის პროექტით წარმოდგენილი მიდგომა არის სწორი და ადრე თუ გვიან ჩვენ მას მივიღებთ.

— მინდა, ყველამ იცოდეს: კოალიციის მომხრეებმა, მოწინააღმდეგეებმა, კოალიციის წევრებმა, პარტნიორებმა — რესპუბლიკელთა ფრაქციამ დაიცვა ყველა წესი და ნორმა ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით იმ ფორმატებში, რაც არის კოალიციის შიგნით. რატომ მივეცი ხმა ვახტანგ ხმალაძის პროექტს და არ მივეცი ხმა ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის პროექტს — იმიტომ რომ მჯერა, ის მიდგომა არის სწორი და მჯერა, რომ ამ მიდგომამდე ჩვენ მივალთ. შესაძლოა, ახლა არ აღმოჩნდა მზად კოალიცია, უმრავლესობა, მთავრობა. ეს მჯერა, რადგან აქეთ მიდის მთელი ცივილიზებული მსოფლიო, აქეთ მიდის მთელი ევროპა და ადრე თუ გვიან ჩვენც მოგვიწევს აქეთ წასვლა, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

გუშინდელ სხდომაზე პარლამენტის სპიკერმა განცხადება რესპუბლიკელების სახელით გააკეთა. ის კმაყოფილი იყო იმით, რომ უმრავლესობაში შემავალმა პარტიებმა ერთ საკითხზე სხვადასხვა პოზიცია დააფიქსირეს. მისი განცხადებით, ასეთ შემთხვევაში ხდება პარლამენტის დაბადება.

— ამ დღეების განმავლობაში ერთსა და იმავე საკითხზე ორი კანონპროექტი იქნა ინიცირებული უმრავლესობის მხრიდან. დაიქცა ქვეყანა თუ აშენდა დემოკრატია საქართველოში? არც ერთი და არც მეორე. აჟიოტაჟი შევნიშნე ბევრგან აი, ხომ არ არის ის დრო, ის მომენტი, როცა რაღაცა ხდება? არა, ბატონებო, არ არის ეს ის დრო. „რესპუბლიკელებმა“ ამ კოალიციაში გაერთიანებით ავიღეთ პასუხისმგებლობა ხალხის, მისი დამაარსებლის, ბიძინა ივანიშვილის, ჩვენი პარტნიორების წინაშე, რა არის ეს, პასუხისმგებლობა? ეს არის არა ჩვენი ძმობა და მეგობრობა, არამედ ის, რაზეც შევთანხმდით, ხოლო ის, რის-

## პარლამენტმა მოსმენების შესახებ კანონი დაამტკიცა

თვისაც შევთანხმდით, ასახულია კოალიციის დეკლარაციაში, კოალიციის წინასაარჩევნო საარჩევნო პროგრამაში და აქ ვრჩებით ჩვენ მაშინაც, როცა, შესაძლოა, განსხვავებული ხედვები გვქონდეს ამა თუ იმ საკითხზე. ეს თემა დახურულად გამოვაცხადოთ და გავაგრძელოთ ასე.

როდესაც უმრავლესობაში შემავალი დეპუტატები ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებენ და ხმას აძლევენ განსხვავებულად, აქ ხდება ის, რომ იბადება პარლამენტი და საქართველოში სრულდება საბჭოთა საქართველოს უზენაესი საბჭოს ეპოქა, როდესაც სხვა წყვეტდა ყველაფერს და დარბაზში ნოტარიულად უნდა გაფორმებულიყო ყველაფერი. ამ თვალსაზრისით არის სერიოზული წინსვლა და ეს ასე გაგრძელდება. ხვალ იქნება საკითხები, რომლებზეც განსხვავებული აზრი გექნებათ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ჭკუით ვიქნებით და ერთად ვიყოთ, როდესაც ერთმანეთს არ ვეთანხმებით. ეს არის პოლიტიკური ერთად ყოფნა, — განაცხადა უსუფაშვილმა.

თავის გამოსვლაში სპიკერი გუშინ ძალოვან სტრუქტურებსაც დაუპირისპირდა. მას შსს და პროკურატურა შემოეკრიტიკა. ის არ ეთანხმება იმ კონცეფციას, რომ

ძლიერი პოლიცია — ეს არის ძლიერი სახელმწიფოს წინაპირობა, არასწორია.

— ძლიერი პოლიციიდან პირდაპირი გზა ძლიერ სახელმწიფომდე არ არსებობს, თუ ამ გზამ არ გაიარა ძლიერ მოქალაქეზე, ინსტიტუტებზე, ძლიერ კანონზე, ბიზნესსექტორზე, ძლიერ პარლამენტზე, მთავრობაზე, თვითმმართველობაზე... არ არის აქ ასე მარტივად საქმე, რომ ვიღაც სახელმწიფოს აშენებს და ვიღაც არ ფიქრობს ამ თემებზე.

შესაძლოა ვიფიქრო, რომ ხმა მივცე ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტს, რომელსაც არ ვეთანხმები, ოღონდ იმის სანაცვლოდ, რომ თითოეული თქვენგანი მპირდებით იმას, რომ ხმას აძლევთ ჩვენს მიერ ხალხისთვის მიცემული პირობის შესრულებას. ვიწყებთ მუშაობას შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად დაპირების შესასრულებლად, ამ სამართალდამცავი, ძალიან მნიშვნელოვანი უწყების გასამართად, რომ მოვაცილოთ მას ძველი გადმონაშთი, პრობლემები, რაც მოჰყვება მის რეპუტაციას და ჩავაყენოთ ის საზოგადოების სამსახურში, — განაცხადა რესპუბლიკელთა ერთ-ერთმა ლიდერმა.

მან მთავრობას და კოლეგებს შეცდომების აღიარებისკენაც მოუწოდა. ის თავდაცვის სამინისტროს გარშემო განვითარებულ მოვლენებსაც გამოეხმაურა. ამ საქმესთან დაკავშირებით მასაც აქვს კითხვები.

კითხვები მას იუსტიციის მინისტრის მისამართითაც აქვს. სპიკერის თქმით, თავდაცვის მაღალჩინოსნების საქმესთან დაკავშირებით ბევრმა დეპუტატმა აღმოაჩინა, რომ იუსტიციის მინისტრი, რომელსა ვითომდა ეს უწყება ფორმალურად ექვემდებარება, ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული აღმოჩნდა.

— ერთ-ერთი ბოლო მნიშვნელოვანი საკითხის დროს, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეს რომ ეხებოდა, ძალიან ბევრმა ერთად აღმოვაჩინეთ, რომ იუსტიციის მინისტრი, რომელსაც ვითომდა ეს უწყება რაღაცნაირად ფორმალურად ექვემდებარება, ყველაზე გვიან ინფორმირებული აღმოჩნდა. მოდით, ვაღიაროთ, რომ ჩვენ რაღაცები შეგვეშალა ამ თვალსაზრისით. იქ ადეიშვილზე შეშინებულებმა, რომ იუსტიციის მინისტრი არასწორად მართავდა პროკურატურას და იმან დააქცია ძალიან ბევრი რამ, აქეთ პრაქტიკულად გავწყვიტეთ ხაზი მინისტრსა და პროკურატურის უწყებას შორის. მივიღეთ სერიოზული პრობლემები. ვის უნდა მოვკითხოთ პოლიტიკურად, რა ხდება ამ უწყებაში და როგორ მიდის საქმე. არათუ კონკრეტულ საქმეში ვინ დაიჭირეს და ვინ გაუშვეს, არამედ საერთოდ რა ხდება. სამაგიეროდ დარჩა სხვა რამ. მე მინდა, თქვენთან ერთად მოვიკითხო და გავარკვიო, რა ხდება, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარეს ფარული მოსმენების თემაზე წარდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებები, რომ ვიღაცას შსს-ს გაძლიერება, ხოლო ვიღაცას უწყების დასუსტება სურს უსაგნო საუბრად მიაჩნია. მან კოლეგებს გაახსენა თუ როგორ გეგმავდა არჩევნების წინ შსს-ს გარდაქმნას.

— წარმოდგენილი არის არგუმენტები, რომ არსებობს რამდენიმე ქვეყანა, სადაც ე.წ. გასაღები შსს-შია მოთავსებული. ყველას ვთხოვ, კარგად ჩახედოს, როგორია იმ ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროები და შევადაროთ, რაც გვაქვს დღეს — სამწუხაროდ, ის, რაც წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით გვერგო. პოლონეთში შინაგან საქმეთა სამინისტრო არჩევნებს ატარებს, საარჩევნო კომისიების როლს ასრულებს, თვითმმართველობებს განაგებს. იმ სამინისტროში არ არის დაზვერვის და კონტრდაზვერვის უწყებები. ჩვენ, ჩვენს პროგრამაში ვწერთ, ამჟამად შსს-ს მხოლოდ უშიშროების სამსახურებთან არის გაიგივებული და პოლიციისა და უშიშროების სამსახურების შერწყმით უპრეცედენტო ძალაუფლების მქონე უწყება შეიქმნა, რომელიც, ფაქტობრივად, არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება. ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობდით, რომ აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს გადარქმნა საშინაო საქმეთა სამინისტროდ და სამოქალაქო სამსახურად ჩამოყალიბება, რომელიც მმართველობას განახორციელებს საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვან სფეროებში; საჭიროა პოლიციის საქმიანობის საზოგადოებრივი მექანიზმებით უზრუნველყოფა. აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან გამოიყოს უშიშროების სამსახურები და შეიქმნას ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახალი შინაარსით, ფორმით, ოპტიმალური კვალიფიციური თანამშრომლებით; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს პარლამენტი უნდა ამტკიცებდეს, სახელმწიფოს უმაღლესი პირის წარდგინებით. შსს-ს დებულებით, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მიერ არის მიღებული, შსს არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი გამსამხედროებული სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა. თუ მეტყვით, რომელ ევროპულ ქვეყანაშია ასეთი შსს-ს მაშინ გავჩერდები. გასამხედროებული უწყება მსოფლიოს ორ-სამ ქვეყანაშია დარჩენილი, — ამბობს სპიკერი.

თავის გამოსვლაში მან მოწმეთა დაკითხვის ახალ წესზეც ისაუბრა. ის კოლეგებს სთხოვს, რომ პარლამენტში სათანადო სტრუქტურები მოიწვიონ და დაუსვან კითხვები. მისივე თქმით, ამ პროექტის განხილვა ორჯერ გადაავადა.

— ბოლოს ამ წესის ამოქმედება შარშან ამ დროს ორი წლით გადავავადეთ. ეს იმ არგუმენტით მოხდა, რომ სისტემა ახალ წესზე გადასასვლელად არ იყო მზად. გავიდა ერთი წელი. მგონი, გვაინტერესებს, ვიკითხოთ, ნახევარი დროის განმავლობაში ნახევრად არის თუ არა მზად სისტემა ამ საქმეზე გადასასვლელად. არ მგონია, რომ თუ ჩვენ ამ კითხვას დავსვამთ, ამით ვინმეს ვასუსტებთ. ამით ვაძლიერებთ სახელმწიფოსა და ერთმანეთს. სპეკულაციაა საუბარი იმის თაობაზე, რომ თუკი ვინმეს რაიმე უარყოფითი წამოსცდა ტაბუდადებული თემების თუ პირების მიმართ, ეს არის ღალატი, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მოსმენების გასაღების თემაზე გადართულ დავით უსუფაშვილი ამ საკითხს იმ ფენომენმა მოსწყვიტა, რასაც სახელად გიორგი კანდელაკი ჰქვია. როგორც გაირკვა, სადაც კი წავიდა სპიკერი, ყველგან კანდელაკის გაკვალული გზა დახვდა.

— როგორ ხდება ის, რომ საქართველოს სასამართლო იღებს განჩინებას, რომელშიც წერს: უგულავას საქმის განხილვა უნდა გადაიდოს იმიტომ, რომ თურმე, პარლამენტის წევრთა ერთი ნაწილის, ამ შემთხვევაში ოპოზიციიდან წარმოდგენილების, დაკითხვაა საჭირო, მათ იცავს იმუნიტეტი, ეს ვერ ხერხდება და ამჟამად მიმდინარეობს აქტიური დიალოგი საქართველოს პარლამენტთან დაბარებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე, რაც გონივრულ დროს მოითხოვს და ვერ ხერხდება.

ასეთი დიალოგი არავისთან არ მიმდინარეობს. მითხარით, აგერ ხართ მთელი პარლამენტი, ვისთან მიდის ეს აქტიური დიალოგი? არავისთან! ვიღაცა გონიერმა პროკურორმა მოძებნა მიზეზი და საბაბი იმისა, რომ საქმეზე ვადის გაგრძელების საფუძველი შეიქმნას. და რა ხდება მერე? მერე ჩვენი პატივცემული კოლეგა, ბატონი გიორგი კანდელაკი ამ ფრაზას თარგმნის მსოფლიოს ყველა ცოცხალ და არაცოცხალ ენაზე და აგზავნის ყველგან. ჩავდივართ მერე და ვდგავართ იქ პირდაღებულები, როცა გვეუბნებიან, რომ რა დიალოგი მიდის ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ თქვენთან მათი დაკითხვის, თუ ნებართვის გაცემის თაობაზე. აქტიურ პოლიტიკურ დიალოგშია თურმე პროკურორი შემოსული ჩვენთან. მერე ვლაპარაკობთ — არა ბატონო, რა პოლიტიზება, რის პოლიტიზება, რა ჩემი საქმეა, ვის დაკითხავენ, ვის წაიყვანენ. მაფარებენ თვალზე სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩაწერილ ფრაზას, რომელიც მოსამართლეს არ დასიზმრებია, რომელიც პროკურორმა მიუტანა იქ, როგორც რაღაციდან გამოსავალი. აქედან გამომდინარე, კითხვა მაქვს — რა ხდება, ვინ ამარაგებს ბატონ კანდელაკს მისთვის სასურველი ფრაზეოლოგიით, ჩანაწერებითა და გამოსვლებით, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მანვე კოლეგებს სთხოვა, მოსმენების კანონის გამო ნუ შეელეწებიან ერთმანეთს. მისი თქმით, დემოკრატიული სახელმწიფო თუ გვინდა, სწორ გზაზე უნდა ვიაროთ.

— ჩვენ გვჭირდება ძალიან ძლიერი სპეცსამსახურები, მაგრამ სპეცსამსახურები გვჭირდება არა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელსაც გვაცნობებენ ჩვენ, რა უნდა შევასრულოთ, არამედ ჩვენი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად კვალიფიციური ანალიზისა და ინფორმაციის მოსაწოდებლად. მე მქონია შემთხვევა, როდესაც მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება უცნობებიათ აქ, არ მქონია შემთხვევა, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად კვალიფიციური ფაქტობრივი და ანალიტიკური მასალა მიგვიღია. არადა, ჩვენ ვართ ის ხალხი, ვინც პოლიტიკური გადაწყვეტილებებს ვიღებთ. თუ გვინდა დემოკრატიული სახელმწიფო, თუ არ გვინდა, რომ ისევ დაგვიცდეს ფეხი, იმ მოლიპულ ბილიკზე, რომელზეც უნდა გავიაროთ, თუ არ გვინდა, რომ ამათ დღეში აღმოვჩნდეთ ოდესმე, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, სწორ გზაზე უნდა დავაყენოთ ეს სისტემა. სწორ გზაზე დასაყენებლად, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი დღევანდელი კანონის ასეთი თუ ისეთი მიღება.

მოსმენების შესახებ კანონმა და ამ კანონზე მსჯელობამ ძალიან ბევრი პრობლემა გამოავლინა. მე ყველას ვთავაზობ, ამ კანონპროექტთან დაკავშირებით და ამ კანონპროექტის გამო ნუ შეველეწებით ერთმანეთს ნურც უმრავლესობის შიგნით და ნურც აღმასრულებელი ხელისუფლება და პარლამენტი, ნურც პრეზიდენტი და პარლამენტი, ნურც არასამთავრობო სექტორი და პოლიტიკური ელიტები და ასე შემდეგ. შევჯერდეთ ჩვენ იმაზე, რომ ამ სისტემურ პრობლემებს და სისტემურ საკითხებს ერთად მოვუვლით, არა იმ პრობლემებს, რომელიც ჩვენ შევქმენით, არამედ იმ პრობლემებს, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო. ახლა არის დრო ყველამ ამ მიმართულებით გავიხედოთ ათასგვარ წვრილმან საკითხებზე გვქონდეს პოლიტიკური გამჭრიახობა, ინტუიცია და მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

სპიკერის გუშინდელ განცხადებებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრმა ჩათვალა, რომ ის ოპოზიციაში გადავიდა. ამ დღეებში მეოცნებეები მას ალბათ მრავალგზის შეაჩვენებენ.

საბოლოო ჯამში, პარლამენტმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტი სამივე მოსმენით დაამტკიცა.

კანონპროექტს მხარი 73 დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ კი პარლამენტის 30 წევრი წავიდა. კანონპროექტის მესამე მოსმენით განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ თინა ხიდაშელსა და „თავისუფალ დემოკრატებს“.

აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლება შსს-ს რჩება, თუმცა, ამოქმედდება ე.წ. ორგასაღებიანი სისტემა, რომელთაგან ერთი გასაღები შს სამინისტროს რჩება, ხოლო მეორე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ხელში იქნება.

კანონპროექტი ხელმოსაწერად პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს გუშინვე გადაეგზავნა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

[illegible]

☎ 555-02-32-08, ქალბატონი ფიქრია

# დოდო გუგეშაშვილი: ემზარ კვიციანის მიმართ გამოტანილი განაჩენი თავზარდამცემია“

მარიკა მჭედლიშვილი

თადარიგის პოლკოვნიკი, კოდორის ხეობის სამხედრო კომენდანტი 1994 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციის, ვეტერანთა უფლებების დაცვის ასოციაცია „პატრიოტის“ დამფუძნებელი დოდო გუგეშაშვილი აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს რუსეთის იმპერიულ ზრახვებს უკავშირებს და აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ სიტუაციაში გარდატეხის შეტანა არ შეეძლო. „პატრიოტის“ ლიდერი მიესალმება საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას ამ თემაზე გაერთიანებასა და კონსულტაციებთან დაკავშირებით. ამასთან, იგი ამ ხელისუფლების სირცხვილად თვლის იმას, რომ კოდორის ხეობის დამცველ ემზარ კვიციანს სასამართლომ 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. „ახალი თაობა“ დოდო გუგეშაშვილს ესაუბრა.

— მოსკოვმა ოკუპირებულ აფხაზეთთან ხელი მოაწერა მოკავშირეობის ფართომასშტაბიან ხელშეკრულებას. როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო თუ არა ამის საწინააღმდეგოდ რაიმეს გაკეთება?

— რუსეთი არის იმპერია, რომლისთვისაც ზნეობრივი ნორმები და ჩარჩოები არ არსებობს. ეს დადასტურდა საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებშიც, ამ საუკუნის 2008 წელს, ასევე უკრაინასა და მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში.

***— და აფხაზეთის ახლანდელი ანექსიითაც?***

— რუსეთმა მოახდინა აფხაზეთის ანექსია. რუსეთი ასე მოიქცა, მიუხედავად იმისა, რომ ამის საფუძველი არ იყო. ეს პროცესი ყველა მხრიდან ამოვარდნილი იყო სამართლებრივი ჩარჩოდან, ადგილი ჰქონდა სხვა სახელმწიფოს (საქართველოს) შიდა პოლიტიკაში ჩარევას. თუმცა რუსეთისაგან ყოველგვარი ნაბიჯი იყო მოსალოდნელი მას შემდეგ, რაც მან ცნო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. დარწმუნებული ვარ, რომ ცივილიზებული სამყარო უფრო აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული იმაში, რომ რუსეთს შემდგომი ნაბიჯები არ გადაედგა და არ გაებედა ის, რასაც ბედავს, მათ შორის, უკრაინაში. ყველას თვალწინ რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, ახლა კი ნაწილებად ყოფს დანარჩენ უკრაინას.

***— ანუ საქართველოს ხელისუფლება ამ სიტუაციაში ვერაფერს გახდებოდა?***

— არა მგონია, რომ ეს დღევანდელი ხელისუფლების რაიმე დანაშაული იყოს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს არის იმავე ევროპისა და ამერიკის არასათანადო ნაბიჯებისა და გულგრილობის შედეგი. მათ რუსეთის მიმართ არ გამოიყენეს მათ ხელთ არსებული სამართლებრივი ბერკეტები. მარტო მოწოდებებსა და შეშფოთებას ვისმენდით. რუსეთი ამ შეშფოთებებით, აღშფოთებებითა და მოწოდებებით ისე გაპარპაშდა, რომ თავს ესხმის არა მარტო საქართველოსა და უკრაინას, არამედ, ძალიან მალე ეს სახელმწიფო პრობლემებს შეუქმნის ბალტიისპირეთს, პოლონეთსა და, საერთოდ, მთელი ევროპის ქვეყნებს.



***— საქართველოს ხელისუფლება იმედს ამყარებს დიპლომატიური საქმიანობის გააქტიურებაზე...***

— ამას მივესალმები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია. ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა. საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყნის მთავარსარდალი, სწორ გადაწყვეტილებას იღებს, როცა ის კონსოლიდაციას სთხოვს როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს. ის აუცილებლად თვლის გაერთიანებას ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხის ირგვლივ. გიორგი მარგველაშვილი მოუწოდებს ყველა ორგანიზაციას, რათა ეს საკითხი მათთან ერთად იქნეს განხილული. ძალიან მესიამოვნა, რომ მან ჩვენს დედაეკლესიას, ასევე თავად ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს სთხოვა კონსულტაციებში მონაწილეობა.

***— საზოგადოებას აღელვებს არა მარტო ის, რომ აფხაზეთის ანექსია ღრმავდება, არამედ, ისიც, რომ ქვეყნის დამცველებს სასტიკად ექცევიან. თქვენ, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი, რას იტყოდით იმაზე, რომ ემზარ კვიციანს 12 წლით აღუკვეთეს თავისუფლება?***

— თავიდან ვიტყვი, რომ მეც ვიბრძოდი დალის ხეობის შენარჩუნებისათვის 11 თვის განმავლობაში. იქ ვიყავი მანამდე, ვიდრე მძიმედ დაჭრილი არ გამომიყვანეს ხეობიდან. ემზარ კვიციანი არის ადამიანი, რომელმაც თავისი ბატალიონ „მონადირეთი“, ადგილობრივი სვანებით (მამაკაცებით, ქალებით) შეინარჩუნა დალის ხეობა წლების განმავლობაში. ემზარ კვიციანს საკუთარი სიცოცხლე ჰქონდა გადადებული, რათა შეენარჩუნებინა ეს ერთადერთი ნათელი წერტილი. ამაში უცნაური არაფერია. მაშინ (უცხო თვალისთვის მაინც) აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში მოიაზრებოდა, იმიტომ რომ ეს ტერიტორია (ხეობა) არ იყო მიერთებული სეპარატისტებისა და რუსების მიერ. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ძალიან თავზარდამცემი იყო ემზარ კვიციანისათვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. ვფიქრობ, თვითონ ჩვენმა სახელმწიფომ როგორღაც უნდა ჩამოირეცხოს ეს სირცხვილი. ეს არ არის მხოლოდ განაჩენი ემზარ კვიციანის მიმართ. ესაა განაჩენი დალის ხეობის გმირი სვანების მიმართ, ასევე იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ დალის ხეობას.

*სამართალი*

## წალკის საკრებულოში ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრს ფიზიკურად გაუსწორდნენ

წალკის საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე ხელჩართული ჩხუბი მოხდა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა ნინო ბურჯანაძის თანაპარტიელს იური მოდებაძეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენეს.

დეპუტატებთან ერთად ჩხუბში წალკის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი გიგინეიშვილიც იღებდა მონაწილეობას.

იური მოდებაძეს თავის არეში მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება და ის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ჩხუბი საკრებულოში მას შემდეგ დაიწყო, რაც იური მოდებაძემ საკრებულოს წევრებს და თავჯდომარეს არასწორედ გახარჯულ თანხებზე განმარტებები მოთხოვა.

საქმე 2013 წელს წყლის რეაბილიტაციისთვის გახარჯულ 2 მილიონამდე ლარს ეხება. იმ პერიოდში ირაკლი გიგინეიშვილი გამგებლის მოადგილე იყო.

დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია.

ნიუსპრესი

## საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომაზე ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებებზე იმსჯელეს

მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომა გაიმართა.

საბჭოს წევრებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელეს და საორგანიზაციო თემები განიხილეს.

სხდომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურაში საპილოტე განყოფილებების შექმნის მნიშვნელობას ხაზი გაესვა, რომლებიც მხოლოდ გენდერული ნიშნით ჩადენილ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე იმუშავებენ.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მთავრობისთვის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და დაგროვილი პრობლემების დროული აღმოფხვრაა საჭირო.

„წელს სხდომა განახლებული შემადგენლობით პირველად გაიმართა. ასე რომ, საკმაოდ ბევრი პრობლემა დაგროვდა, რაც დაუყონებლივ გადაჭრას მოითხოვს. მათ შორის არის მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის დაკომპლექტების საკითხი,“-განაცხადა პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარემ სოფიო ჯაფარიძემ.

სხდომაზე საბჭოს წევრებმა ასევე შემაკავებელი ორდერის გამოცემის პროცედურის გამარტივების, ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავების, სოციალური მუშაკების დამატება და გადამზადების და თავშესაფარში მოთავსების შემთხვევაში მსხვერპლისათვის სოციალური დახმარების შეჩერების (შეწყვეტის ნაცვლად) საკითხებზე იმსჯელეს.

მედიანიუსი

## სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კარანტინები“ და ფუქსები“ უქმდება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ „გონივრული მიღებისა და განთავსების“ პირველი განყოფილება გახსნა, რომელიც სისტემაში ახლად შემოსახლებული პატიმრის მიღებისა და მის საჭიროებებზე რეაგირების ახალ სტანდარტს ამკვიდრებს. ახალი სტანდარტებით, ე.წ. „ფუქსები“ და „კარანტინი“ უქმდება.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილება ერთ სივრცეში უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების, ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასების, კრიზისის მართვის და სუიციდის პრევენციისთვის აუცილებელ ღონისძიებებს უზრუნველყოფს.

„განყოფილებამ დინამიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს უნდა უპასუხოს. იგი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით არის დაპროექტებული და შექმნილი, პერსონალმა კი, რომელიც განყოფილებაში იმუშავებს, სპეციალური მომზადება გაიარა.

„გონივრული მიღების“ კონცეფცია მთლიანად აუქმებს და ცვლის საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში წარსულში არსებულ გამოცდილებას, რომელიც ახლად მიღებული პატიმრის ე.წ. „კარანტინებსა“ და „ფუქსებში“ განთავსებას გულისხმობდა“,-აცხადებენ უწყებაში.

სამინისტროს ცნობითვე, წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა 2010 და 2012 წლების ანგარიშებში საქართველო სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ „კარანტინებში“ მცირე „კუბიკისებური“ სათავსოების გამო ორჯერ გააკრიტიკა, სადაც პატიმრის ყოფნა დაუშვებლად იქნა მიჩნეული. ორივე ანგარიშში, კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას აღნიშნული პრაქტიკის გაუქმებისკენ მოუწოდებდა.

ნიუსპრესი

## მინერალური წყლების ფალსიფიკაციის ფაქტზე ხუთი პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქ. ბორჯომსა და ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში, ქართული მინერალური წყლების ფალსიფიცირების ფაქტზე გელა მელაძე, მიხეილ წიქარიშვილი, კახა გოგოლაძე, ჯემალ ბლიაძე და პაატა ტალახაძე დააკავა.

უწყების პრესსამსახურიას ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ აღნიშნული პირები საცხოვრებელ სახლებში, კუსტარული წესით, სათანადო ლიცენზიისა და ნებართვის გარეშე ფალსიფიცირებული მინერალური წყლების, ,,ბორჯომი“-ს, „ლიკანი“-ს და „ნაბეღლავი“-ს დამზადება — რეალიზაციას ახდენდნენ.

„მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა არაერთი კომპლექსური (ქიმიური, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური) ექსპერტიზა, რითაც დადასტურებულია დამზადებული პროდუქციის უხარისხობა და დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამობა. საგამოძიებო სამსახურის მიერ ამოღებულია მოხმარებისთვის უვარგისი, დიდი ოდენობით „ბორჯომი“, „ლიკანი“ და „ნაბეღლავი“ — აცხადებენ უწყებაში.

დაკავებული პირების მიერ საქართველოს სსკ-ის 197 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია ჩადენილი, რაც სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

## პოლიციამ ოზურგეთში მომხდარი ქურდობის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული ბექა მ. დააკავეს.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 21 ნოემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ოზურგეთში, მოქალაქის საცხოვრებელ სახლში ფარულად შეაღწია, საიდანაც მოიპარა 700 ლარი, საოჯახო ნივთები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან სამ დღეში სოფელ ოზურგეთში დააკავეს. ნაქურდალი თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## შსს-ს აკადემიაში ეუთო-ს ორგანიზებით კიბერდანაშაულის საკითხებზე რეგიონული ტრენინგი ტარდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ორგანიზებით, კიბერდანაშაულის საკითხებზე რეგიონული ტრენინგი დაიწყო. ღონისძიება შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა შალვა კვინიხიძემ გახსნა.

სწავლებაში მონაწილეობას საქართველოს შსს-ს აკადემიის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ამავე დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს, ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლები და სომხეთის ეროვნული პოლიციის წარმომადგენლები იღებენ. ტრენინგს ავსტრიელი ექსპერტები უძღვებიან.

როგორც შსს-ში აცხადებენ, სწავლების მიზანი კიბერდანაშაულის საკითხებზე მომუშავე გამომძიებლებისა და ექსპერტების შესაძლებლობების განვითარება და რეგიონალურ დონეზე თანამშრომლობის გაღრმავება. ტრენინგი შსს-ს აკადემიაში ორ დღეს გაგრძელდებაა.

უწყების ცნობით, კიბერდანაშაულთან ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციას საქართველო 2012 წელს შეუერთდა. ამავე წელს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო შეიქმნა. შსს-ს აკადემიაში შემუშავდა სპეციალური ტრენინგ-მოდულები, რომელიც მოიცავს კიბერდანაშაულთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ელექტრონული მტკიცებულებების ჩხრეკა-ამოღება, კიბერდანაშაულის საგამოძიებო ტექნიკა, კიბერდანაშაულის სამართლებრივი ასპექტები.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების თანამშრომლებისთვის კიბერდანაშაულის საკითხებზე ტრენინგები და სწავლებები სისტემატურად ტარდება.

შეიქმნა კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი დოკუმენტი — საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2013-2015 წლების სტრატეგია“,-აცხადებენ სამინისტროში.

მედიანიუსი

## ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია გარდაბნის რაიონში ჩატარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ დაწყებული სოციალური კამპანიის — „არა ძალადობას!“ ფარგლებში, გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისის საჯარო სკოლაში შეხვედრა გაიმართა.

საინფორმაციო შეხვედრაზე შსს-სა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წევრები, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გარდაბნის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი მაია ფელიშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვემო ქართლის ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრი თამარ გამცემლიძე და არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი“-ს იურისტი თეონა თხელიძე, მოსწავლეებს სოციალური კამპანიის დაწყების შესახებ ესაუბრნენ.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრას შსს-ს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ლევან კვიციანიც ესწრებოდა, რომელმაც მოსწავლეებს ძალადობის შემთხვევების დროს სამართალდამცველების როლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ პოლიცია ნებისმიერი ადამიანის უფლებებს იცავს.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ვახტანგისელ მოსწავლეებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია გააცნეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით კანონში შესული ცვლილებების შესახებ ისაუბრეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2013 წლიდან ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია მოხდა.

კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, ოჯახში ძალადობა 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

შეხვედრაზე კამპანიის ფარგლებში შექმნილი სოციალური რგოლების ჩვენებაც გაიმართა, რომელთა მიზანი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაა იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში ცხელ ხაზზე — „112“-ზე უნდა დარეკონ ან უბნის ინსპექტორს მიმართონ.

მოძალადეებმა კი მიიღონ გაფრთხილება, რომ ოჯახში ძალადობა თავისუფლების აღკვეთით ისჯება. შეხვედრის ბოლოს სოციალური კამპანიის სამუშაო ჯგუფის წევრებმა მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია „არა ძალადობას!“ 25 ნოემბერს დაიწყო.

ნიუსპრესი

# ფონდი ნატახტარი“ 164 მოზარდის მომავალს უკეთესობისკენ შეცვლის

## „ნატახტარის“ ლიმონათის მოყვარულებმა ქველმოქმედებაზე 420 ათასი ლარი გაიღეს

„ნატახტარის“ ლიმონათის მოყვარულებ წელს უკვე მეოთხედ ტრადიციულ აქციაში ჩაებმევიან. იზრუნე მომავალზე, ამ ეგიდით ყველა მსურველს ვინც შეიძენს „ნატახტარის“ ლიმონათს 25 ნოემბრიდან 25 თებერვლის ჩათვლით, ავტომატურად ხდება „ფონდმა ნატახტარმა“ ოთხი წლის განმავლობაში უკვე 420 ათასი ლარის მოგროვება მოახერხა. ეს თანხა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მზრუნველობამოკლებული მოზარდების იმ ნაწილის, რომელიც 15 დან 18 წლის ასაკშია, ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალოს. თითოეულ მოზარდზე ფსიქოლოგების გუნდი მუშაობს, რათა გამოკვეთონ მისი უნარ-ჩვევები, შეასწავლონ კონკრეტული პროფესიები და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოამზადონ. ფონდის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ მოზარდს ცალკე ქეისად განიხილავს და არ აქვს სტანდარტული მიდგომა. ამის შედეგია, რომ „ფონდ ნატახტარის“ საშუალებით ბევრმა მოზარდმა საკუთარი თავის დამკვიდრება საზოგადოებაში უკვე მოახერხა.

„ფონდი ნატახტარის“ ანგარიშგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ჩვენ ვიხილეთ უამრავი ბენეფიციარი, რომელიც ჩვენი საზოგადოების სრულფასოვანი წევრია. რომ არა ფონდის ფსიქოლოგები და ის ოსტატები, რომლებმაც კონკრეტული პროფესიები შეასწავლეს, ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორი იქნებოდა იმ მოზარდების ბედი, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებლები არიან, მაშინ, როცა 18 წლის მიღწევისთანავე სახელმწიფო მათზე მზრუნველობას წყვეტს.

კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი ოთხი წლის წინ ამბობდა, რომ ჩვენი ეს ქველმოქმედება გადამდები იქნება და შედეგიც სახეზეა. წლიდან წლამდე „ნატახტარის“ ლიმონათის მოყვარულების რაოდენობა და შესაბამისად ქველმოქმედთა რიცხვიც მზარდი პროგრესიით იზრდება.

**მანანა ომარაშვილი, „ჩვენი სახლი — საქართველოს“ ფსიქოლოგიური სამსახურის უფროსი:**

— ჩვენი პროგრამა იმისკენ არის მიმართული, რომ მოზარდებს ის უნარ-ჩვევები განვუვითაროთ და ის პროფესიები ვასწავლოთ, რითაც დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას შეძლებენ. მშობლების მზრუნველობამოკლებული მოზარდების წინაშე ბევრი პრობლემა დგას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი სრულწლოვნები ხდებიან და მთავრობა მათზე ზრუნვას ასრულებს. ამ ფონდის მუშაობის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ მათგანს ინდივიდუალუალურად ვუდგებით. ზოგს უმაღლესში სწავლის საშუალებას ვაძლევთ, ზოგს ჯანმრთელობის პრობლემებს ვუგვარებთ, ზოგსაც კონკრეტულ პროფესიებს ვასწავლით.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი, „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:**

— ვამაყობთ, რომ „ნატახტარის“ ლიმონათის მომხმარებლები აქტიურად არიან საქველმოქმედო საქმიანობაში ჩართულები. 3 წლის განმავლობაში „ფონდმა ნატახტარმა“ საერთო ჯამში, 420 ათასი ლარის შეგროვება მოახერხა. ახლა უკვე ფონდში ფულის შეგროვების მეოთხე ეტაპს ვიწყებთ, რომელიც სამი თვე გაგრძელდება. ტრადიციულად ამ ხნის განმავლობაში ვინც შეიძენს „ნატახტარის“ ლიმონათს ნებისმიერი ფორმით, ის ავტომატურად ხდება ქველმოქმედი და ამით ზრუნავს მომავალზე. თითოეული ბოთლის შეძენისას, მისი ზომებიდან გამომდინარე, ფონდში ავტომატურად გადაირიცხება 1, 3 და 5 თეთრი. ჩვენი ფონდი აბსოლუტურად გამჭვირვალეა და ამას მსოფლიოში ცნობილი და ავტორიტეტული აუდიტორული კომპანია „პრაის ვოტაჰაუს კუპერი“ ახორციელებს. უშუალოდ მოზარდებთან მუშაობას არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი სახლი — საქართველო“ უზრუნველყოფს. ჩვენ ორიენტირებული ვართ ხარისხიან სერვისზე, ამიტომ ფონდის დახმარების პროგრამაში ასაკობრივი ზღვარი 15-18 წელია. ფონდი მოზარდზე ზრუნავს მანამდე, სანამ ის მზად არ იქნება დამოუკიდებელი, სრულფასოვანი ცხოვრებისათვის. წელს ჩვენი ბენეფიციარების რაოდენობა არის 164 მოზარდი და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ამ 164 მოზარდის ცხოვრება უკეთესობისკენ შევცვალოთ.



# რა ხარვეზები აქვს მოსმენების კანონს?!

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან



***— ქალბატონო ნანა, საკმაოდ აქტუალურია დღეს თემა, თუ ვის ხელში უნდა იყოს ე.წ. გასაღები. რეალურად რა დევს ამ კანონპროექტებში?***

— ამ კანონპროექტებში საუბარია ისეთი მოსმენების კონტროლზე, როგორი მოსმენებიც არის, ერთი მხრივ, პროკურატურის მიერ ნებადართული და, მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ ნებადართული, გადაუდებელი აუცილებლობის დროს. ახლა ეს გასაგებია, რომ თუკი პროკურორმა გადაუდებელი აუცილებლობით ჩათვალა მიზანშეწონილად, რომ უნდა მოისმინოს და ამას გააკონტროლებს ქალდანისა თუ სხვა უწყება, რამდენად შესაძლებელია ეს და რამდენად ეფექტურია, კიდევ სხვა თემაა. როგორ შეიძლება, რომელიმე უწყებიდან რაიმე სახის კონტროლი განხორციელდეს 21-ე საუკუნეში, როგორ შეიძლება, კანონმა ფეხი აუბას ტექნიკის განვითარებას. ნუთუ შეიძლება ამის ტექნიკური საშუალებებით გაკონტროლება? ეს ხომ თავისთავად აბსურდია! კარგი, დავუშვათ, გაკონტროლდეს, მაგრამ ეს ლაპარაკია იმ შემთხვევებზე, როცა პროკურორმა გასცა ნებართვა ან მოსამართლემ, მაგრამ მექანიზმი იმისა, რომ თუკი მოინდომა უკანონო მოსმენა, როდესაც არც პროკურორისა და არც მოსამართლის ნებართვა არ არსებობს, ამ შემთხვევაში რა მექანიზმები არსებობს იმისა, რომ ეს აღმოიფხვრას? ამაზე არც ერთ კანონპროექტში ლაპარაკიც კი არ არის! აქ პრობლემა ის კი არ არის, რომ რამდენი ხანი მოუსმინა, დროს ხომ არ გადააჭარბა? აქ პრობლემა ის არის, რომ ისეთ ადამიანებზე, რომლებზეც არანაირი სამხილი არ არსებობს და საფუძველი არ არსებობს, რომ მოუსმინონ — ხელისუფლება უსმენს! აი, ამაზეა საუბარი. ამ კონკრეტულ შემთხვევაზე საერთოდ არ არის საუბარი არც ერთ კანონპროექტში. საერთოდ არ არის ლაპარაკი იმაზე, დღეს ტექნიკურად არის თუ არა შესაძლებელი, რომ ასეთი მოსმენები გაკონტროლდეს! რა თქმა უნდა, არ არის ასეთი მექანიზმი! ჩვენ დღეს ისეთ სახელმწიფო სტრუქტურასთან გვაქვს საქმე, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია, შეისყიდოს ისეთი აპარატურა, რომელიც ამ ყველაფრის გვერდით ავლით ამას განახორციელებს!

***— შეუძლებელია ამის კონტროლი?***

— ამის კონტროლი რეალურად არის შეუძლებელი და აბსურდი! დღეს ლაპარაკი იმაზე, რომ პოლიციაში უნდა იყოს თუ არა ეს გასაღები, ჩემთვის მართლაც გაუგებარია, ეს რა დავის საგანია. რა, პოლიციელს გასაღებს თუ გამოართმევ, დუბლიკატს ვერ გააკეთებს? ვერ მოისმენს, თუ მოსმენა უნდა? ან რატომ ფიქრობთ, რომ ვისაც ექნება გასაღები, იმასთან ვერ გარიგდება ხელისუფლება?! რასთან გვაქვს დღეს საქმე, ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია! მე, პირიქით, მიჩნდება კითხვა, როდესაც მოსმენის ერთადერთი მექანიზმი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შსს ისმენს, თუკი მას ჩვენ ამ ფორმალურ გასაღებს გამოვართმევთ, მაშინ მოქალაქე ხომ არ რჩება აბსოლუტურად დაუცველი?! იმიტომ რომ, მე ვიცოდი, ნაციონალების დროს რომ მისმენდნენ, ესენი იყვნენ ვანო მერაბიშვილი და ადეიშვილი. ზუსტად ვიცოდი ადრესატები! დღეს შენ კანონით რომ ამ მტკიცებულებას ჩამოართმევ და იტყვი, რომ ამათ არა აქვთ გასაღები, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ გეტყვის — მე როგორ გისმენ, როცა გასაღებიც არა მაქვს? და ამ დროს სხვა არავინ არსებობს დედამიწაზე, ვისაც ეს მოსმენა შეუძლია! შენ კიდევ მტკიცებულება არ გაქვს იმისა, რომ შენ გისმენენ. მე ერთ-ერთ ავტორსაც ვკითხე ამ პროექტისას, რომ თქვენ გიფიქრიათ იმაზე, რომ ამ გასაღების გამორთმევით შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ და მხოლოდ ართმევთ პასუხისმგებლობას, რომ პასუხი აგოს უკანონო მოსმენებზე, მაგრამ თქვენ ვერ ართმევთ შესაძლებლობას, რომ არ მოისმინოს!

***— რა გიპასუხათ?***

— ვერაფერი. ჩვენ უცხოელმა ექსპერტებმა გვითხრეს, ამით არ ექნებათ შავ ყუთთან წვდომაო. კარგით, რა, ხალხო! რა შავ ყუთთან წვდომა, ხალხი კოსმოსში გაფრინდა და იქიდან ხედავენ, მიწაზე ჭიანჭველა როგორ დადის! რა შავ ყუთზეა ლაპარაკი! ეს ხომ ელემენტარულად მოტყუებაა! უბრალოდ, პიარს აგორებენ, აი, როგორ ვიბრძვით ადამიანის უფლებებისთვის! რეალურად კი არაფერი არ კეთდება.

***— არადა, ვხედავთ, როგორი ცხარე დებატები მიმდინარეობს, უმრავლესობაშიც კი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ამ კანონპროექტების გამო...***

— ეს ყველაფერი ტყუილია, ეს არის პიარკამპანია! ეჯიბრებიან, ვინ ვის გადაუგრეხს ხელს. ჩემი აზრი ასეთია, თუკი შინაგან საქმეთა სამინისტრო რჩება იმ ერთადერთ ორგანოდ, ვინც უნდა უსმინოს, პირიქით, ყველა იმ პირზე, ვისაც შეიძლება წვდომა ჰქონდეს მოსმენასთან, ყველა ამ პირზე უნდა გამკაცრდეს პასუხისმგებლობა. კანონში უნდა ჩაიდოს ამ პირების მიმართ ისეთი საჯარიმო სანქციები, რომ რაც მათ სახელმწიფოსგან ოდესმე ხელფასი მიუღიათ, ათმაგი ოდენობით უნდა გადაიხადონ, თუკი დაფიქსირდება უკანონო მოსმენის ფაქტი. ყველა პირი უნდა იყოს თანაბრად პასუხისმგებელი, რომ მათ, ვისაც დაავალებენ უკანონო მოსმენას, უნდა შეეშინდეთ ამ უკანონო მოსმენისა. უნდა იფიქროს, რომ ვაითუ ხელისუფლება შეიცვალოს, არსებული კანონმდებლობა აბსოლუტურად გამაკოტრებს და ნულზე დამტოვებს. აი, ასეთი შიში უფრო იმუშავებს. იგივე საპატიმრო სანქციები უნდა შემოვიდეს. სისხლის სამართლებრივი და საჯარიმო სანქციები უნდა იყოს ისეთი დიდი და ისეთი ზომის, რომ შეეშინდეთ! ახლა თქვენ როგორ ფიქრობთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თუ ჩამოართვეს გასაღები, რას ამბობთ, შიშით გული გაუსკდება და მოსმენას ვეღარ გაბედავს!

***— რა დაგვანახა ამ პროცესმა?***

— ამ პროცესმა, ერთი მხრივ, დაგვანახა, რომ ამ საქმეში ჩაუხედავი ადამიანები არიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ ასეთი მექანიზმებით ჩვენ შევძლებთ, ისეთ ხელისუფლებას, როგორიც არის ტოტალიტარულ მმართველობაზე დაფუძნებული, რომელსაც არანაირი დემოკრატიის ნიშნები არ გააჩნია ხელისუფლების მართვისა, ამ ადამიანებს კანონში შეტანილი ცვლილებებით შევძლებთ, რომ ამაზე უარი ვათქმევინოთ, ეს აბსურდია. ამ კანონში ჩანს მხოლოდ ის, რომ მოდით გამოვართვათ გასაღები, რომ ვერ მოისმინოს. რომ მოისმინოს, მერე სად მივდივართ? მერე, რა მექანიზმია?! ეს უნდა გაიწეროს კანონში, ამ შემთხვევაში როგორი პასუხისმგებლობა ეკისრება?! სააკაშვილის დროსაც ესე იყო და ახლაც ასეა, დიახ არადემოკრატიული მმართველობის დროს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ხერხემალი და არის მთავარი სამინისტრო! დემოკრატიულ ქვეყნებში კი, პირიქით, იუსტიციის სამინისტროა მთავარი სამინისტრო. ამ რეალობას ჩვენ უნდა შევხედოთ, თვალი უნდა გავუსწოროთ, აქედან უნდა ამოვიდეთ და ისე ვიმოქმედოთ, დღეს ჩვენ შეგვიძლია რაიმე მექანიზმის შემუშავება იმისათვის, რომ შსს-მ უკანონოდ არ უსმინოს მოქალაქეებს?! მე გასაღების გამორთმევა არ მგონია საკმარისი მექანიზმი! პირიქით, მე ვფიქრობ, რომ გამორთმევის შემთხვევაში ხდება ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ათავისუფლებ პასუხისმგებლობისგან და მოქალაქეს, რომელსაც შსს უკანონოდ მოუსმენს, ტოვებ აბსოლუტურად დაუცველს, რომ მან ადრესატი მაინც იცოდეს, თუ რომელმა უწყებამ მოუსმინა! პირიქით, მთელი პასუხისმგებლობა, მთელი ეს სიმძიმე ამ დანაშაულის და ეს ტვირთი უნდა ჰქონდეს შსს-ს, გასაღებიდან დაწყებული, მონიტორინგიც კი, რომელიც ამ სიტუაციაში ყურით მოთრეული თემაა. ყველაფერზე პასუხისმგებელი შსს უნდა იყოს!

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თენგიზ დიხამინჯია: საქართველო გადასახურდავებელ მონეტად არ უნდა გადაიქცეს!“



გულიკო ბალაძე

**სოჭში პუტინისა და ხაჯიმბას მიერ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საქართველო გამოსავლის ძიებაშია. ვერ გაგვირკვევია, როგორ შევაჩეროთ რუსეთი, რომ იგივე არ მოხდეს ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებითაც.**

უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია აცხადებს, რომ სააკაშვილმა აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთისთვის სანქციების დაწესება არ მოითხოვა. პირიქით, სანქციები მილიარდებში გაცვალა. არსებულმა ხელისუფლებამ კი ადრე არ მიიღო ზომები, დასავლეთთან ინტენსიურად არ იმუშავა დიპლომატიური არხებით და დრო დაკარგა.

— გასულ წელს ვიმყოფებოდი სამეგრელოს სოფლებში დარჩელსა და განმუხურში და გალის რაიონის მიმდებარე სხვა სოფლებში, სადაც ნათესავები მყავს. მაშინ თქვენთან ინტერვიუში განვაცხადე, რომ გალში შენდებოდა რუსული სამხედრო კომპლექსი, იგეგმებოდა რუსების მასობრივი ჩამოსახლება, ხორციელდებოდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი (შენდებოდა ბაგა-ბაღები, კინოთეატრები, სპორტული მოედნები), რაც რუსეთის შორს მიმავალ მიზნებს ემსახურებოდა და ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ იმ რეალობის წინაშე არ დავმდგარიყავით, რაც დღეს გვაქვს, — აცხადებს თენგიზ დიხამინჯია.

***— ბატონო თენგიზ, როდესაც რუსებსა და აფხაზებს შორის ხელშეკრულების გაფორმების გეგმების თაობაზე გახმოვანდა, ამას რეაქცია მოჰყვა აფხაზებშიც და ქართველებშიც. ვფიქრობდით, რომ რაღაცნაირად კიდევ შეიძლებოდა რუსეთის შეჩერება. მიუხედავად ჩვენი განცხადებებისა, რუსეთმა მაინც გააფორმა ხელშეკრულება სეპარატისტ ხაჯიმბასთან და ჩვენ მაინც დავდექით ფაქტის წინაშე. ახლა თითქოს გამოსავალიც არ ჩანს. რა შეიძლება გაკეთებულიყო და რა ვერ გავაკეთეთ, რომ ამგვარი რეალობის წინაშე არ დავმდგარიყავით?***

— ურთულესი სიტუაციაა. ეს ყველაფერი აისახება რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობით. დაძაბულობის შენელებით, ეგზალტაციითა თუ დინამიკით, ეს ყველაფერი აისახება ჩვენს სუვერენიტეტზე, ჩვენს ტერიტორიასა და ყოფა-ცხოვრებაზე.

***— რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ანექსიის გაგრძელება იმოქმედებს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე?***

— არა, რაც ხდება, ყველაფერი არის გეოპოლიტიკური ჭიდილის შედეგები. რუსეთი ყველანაირად ცდილობს, გადაკეტოს ჩვენთვის სასიცოცხლო ენერგომატარებლები, შეგვიზღუდოს სტრატეგიული სასიცოცხლო ნედლეული და ის, რაც დღევანდელ ცივილიზაციასთან და ეკონომიკურ კეთილდღეობასთან და არსებობასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, აშშ და მისი დასავლელი პარტნიორებიც ყველანაირად ცდილობენ, რომ აბრეშუმის გზა, რომელიც შორეული წარსულიდან, ჩინგიზ ხანიდან მოდის (ჩინგიზ ხანმა ეს გააცნობიერა და აბრეშუმის გზა მონღოლეთიდან პორტუგალიამდე იყო, შემდეგ აღნიშნული გზა მარკო პოლომ გაკვალა), არის სასიცოცხლო გზა მთელი კაცობრიობისთვის. ამ გზის, ენერგორესურსების მოსაპოვებლად და ხელში ჩასაგდებად მიმდინარეობს ბრძოლა. კაცობრიობის არსებობაც ამ ბრძოლის ასპარეზს დაემსგავსა. დარტყმა ჩვენზე იმიტომ მოდის, რომ საკვანძო წერტილში ვართ მოქცეული და ორივე ძალა ცდილობს, მართვის სადავეები მაქსიმალურად აიღოს ხელში. ამ კონკრეტულ სიტუაციაში რუსეთი ყველანაირად ცდილობს, ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან, ზღვიდან ჩვენს ირგვლივ ისეთი რკალი შექმნას, ჩვენი სუვერენიტეტი მოაშთოს და გუბერნიის ფუნქციები დაგვიტოვოს. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია მოლდოვას გადაწყვეტილება, რომელმაც ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და იმედი აქვს, რომ მის გადაწყვეტილებას რუსეთის მხრიდან მისი სტრატეგიული ინტერესების დაკმაყოფილება მოჰყვება. ე.ი. მოლდოვამ ჩათვალა, რომ ორმაგი სტანდარტით დასავლეთთან და რუსეთთან ვითარების დაბალანსებასა და სხვა პირობებს შექმნის. ჩვენ დასავლეთიდან ნეიტრალიტეტის გამოცხადების უფლებას მოგვცემენ? მოლდოვამ მოიპოვა ნეიტრალიტეტის გამოცხადების უფლება.

***— ჩვენ ამ საკითხზე ქვეყნის შიგნითაც არ გვაქვს ერთიანობა. ნეიტრალიტეტი რომ გამოვაცხადოთ, მაიდანი გარანტირებული გვაქვს.***

— ეს კიდევ ცალკე საკითხია. ნეიტრალიტეტი თვითმიზანი ხომ არ არის. თვითმიზანი არის სუვერენიტეტი, ეკონომიკური კეთილდღეობა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. ეს არის სტრატეგიული ამოცანა. საქართველოში არიან გარკვეული ძალები, რომლებიც ქადაგებენ ამ იდეოლოგიას.

***— კონკრეტულად რა იდეოლოგიაზეა საუბარი?***

— ნეიტრალიტეტის იდეოლოგია. ნატოში არ უნდა შეხვიდე, დასავლეთთან ურთიერთობა უნდა იყოს, მაგრამ — ნატოსა და ევროატლანტიკური სივრცისაგან დისტანცირებული. ამიტომ რუსეთი დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალს.

***— ნატოსა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაზე უარი რომ ვთქვათ, რუსეთი ამ გზით აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დაგვიბრუნებს?***

— არა, ეს არის ილუზია. დღევანდელ ვითარებაში გუბერნიის სახითაც რომ შევიდეთ რუსეთის ფედერაციაში (რა შესაძლებლობები გავუშვით ხელიდან, ცალკე მსჯელობის საგანია), რუსეთი ამ გზით აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს არ დაგვიბრუნებს. ეს არჩევანი რუსეთმა უკვე გააკეთა. რომის პაპი რომ იტყვის, მესამე მსოფლიო ომი, ფაქტობრივად, დაწყებულია და ის ძალიან ჰგავს პირველი მსოფლიო ომის წინაპირობებსო, ეს რაღაცაზე ხომ მეტყველებს.

***— მეორე მხრივ, 20 წელია, რუსეთის მხრიდან ჩვენი წეწვა-გლეჯა მიმდინარეობს. თუ გვიღებენ ნატოსა და ევროკავშირში და თუ ეს არის შემაკავებელი ფაქტორი, მიგვიღონ ერთხელ და სამუდამოდ. რას მიზეზობენ. ათასგვარი მიზეზი შეიძლება გამონახო, თუ მიღება არ გინდა. თუ ჩვენი ნატოში მიღება და იმ გზის გაკვალვა უნდათ, რომლის გზაჯვარედინზეც ჩვენი ქვეყანა მდებარეობს, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მიგვიღონ.***

— ჩვენც ამის მომხრე ვართ. ეს უნდა იყოს გათვლილი. საქართველო არ უნდა გადაიქცეს გადასახურდავებელ მონეტად რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში. მოგეხსენებათ, სირიაში ძალიან დაძაბული მდგომარეობაა, ხალიფატის პრობლემებია. რუსეთი, მაგალითად, თანამშრომლობს ამერიკასთან. არსებობს წერტილები, სადაც რუსები და ამერიკელები ინტენსიურად თანამშრომლობენ ანგარიშგასაწევ სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, არსებობს საკითხები, სადაც რადიკალურად დაპირისპირებულები არიან და სანქციებს უწესებენ. სააკაშვილის ხელისუფლების ძალიან დიდი დანაშაული იყო, რომ სანქციების ამოქმედება არ მოითხოვა ცხინვალის რეგიონისა და კოდორის მიტაცების გამო. ეს არ უნდა გაცვლილიყო 4 მილირდ-ნახევარზე.

***— 2008 წლის შემდეგ?***

— დიახ. სააკაშვილი კი რაღაც ფსევდოდიპლომატიას მიმართავდა, ამას ასაღებდა ძალიან დიდი წარმატებად, რუსეთთან დათბობად და ა.შ. დიპლომატიური გამარჯვების საწინდარი სანქციების ამოქმედება იქნებოდა. უკრაინის შემთხვევაში დასავლეთმა აამოქმედა სანქციები, როდესაც რუსეთმა სეპარატისტულ ძალებს მხარი დაუფარავად დაუჭირა.

***— 2008 წელს ხომ უფრო აშკარა იყო რუსეთის მოქმედება, რუსეთმა ოფიციალური სამხედრო ძალები შემოუყვანა.***

— დიახ, 2008 წელს რუსეთი უფრო ღიად მოქმედებდა საქართველოს ტერიტორიაზე. შემდეგ ევროკავშირმა ტალიავინის კომისიის დასკვნა ძლივს გვაღირსა, რომელიც ძალიან ბუნდოვანი იყო და, ფაქტობრივად, სააკაშვილის რეჟიმს გადაეფარა. ჩვენი დიპლომატიური სვლები ისე უნდა იყოს გათვლილი, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ დასავლეთის სრულფასოვანი პარტნიორები.

***— ჩვენ, ვინც არ ვართ უშუალოდ ჩართული მოლაპარაკებებში, ვგრძნობთ იმას, რომ დიპლომატია, უბრალოდ, უძლურია ამ საკითხში, მაგრამ იარაღის გამოყენებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.***

— დიპლომატია უძლურია იმიტომ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ვერ ამოქმედდა ის სანქციები, რომლებიც უნდა ამოქმედებულიყო.

***— სააკაშვილს რომ მოეთხოვა სანქციების ამოქმედება?***

— სააკაშვილს სანქციები უნდა მოეთხოვა. ამის ნაცვლად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში დაუჭირა მხარი.

***— 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები რომ დაეწესებინათ, რუსეთი აფხაზებთან ინტეგრაციის ხელშეკრულების გაფორმების გადაწყვეტილებას მიიღებდა?***

— ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ვადა მაინც გადაიწეოდა და, შესაძლოა, ისტორია სხვა მიმართულებით წასულიყო. მაგალითად, ფინეთს სისხლისმღვრელი ომები ჰქონდა რუსეთთან, უზარმაზარი დანაკარგები ნახეს რუსებმა ფინეთში. თუმცა, პარადოქსულია, მაგრამ შემდეგ იგივე ფინეთი ათწლეულების განმავლობაში გახლდათ რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი და დამაკავშირებელი ევროპასთან. ეს კეთდებოდა კომუნისტური რეჟიმის პირობებში. ამიტომ ძალიან რთულია იმის თქმა, ამ თუ იმ პირობებში რა პროექტი ამოქმედდებოდა.

***— პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე, ფინეთი გახდა რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი რუსეთისა, მაგრამ ტერიტორიები ხომ ვერ დაიბრუნა, რომელიც მაშინ დაკარგა?***

— რა თქმა უნდა, ფინეთმა ტერიტორიები ვერ დაიბრუნა.

***— ჩვენ ტერიტორიების დაბრუნებაზე ვაკეთებთ აქცენტს.***

— დიახ, ტერიტორიებზე გვაქვს ძალიან დიდი გართულება, რადგან აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე საქართველო სუვერენულ ქვეყნად ვერ შედგება.

***— ისედაც ბევრი ტერიტორია დავკარგეთ ტაო-კლარჯეთის, შავშეთის, ლაზეთის, საინგილოს, სოჭისა და სხვა ტერიტორიების სახით.***

— ამიტომ ამაზე უნდა ყოფილიყო აქცენტირება და ჩვენი, როგორც ქვეყნის ფასი უნდა გაზრდილიყო. აფხაზეთზე რომ გსაუბრობთ, შევხედოთ, დღევანდელ პირობებში რუსეთი აფხაზებს რას სთავაზობს და ჩვენ რას ვთავაზობთ. აფხაზები მიიჩნევენ, რომ ორ უბედურებას შორის ნაკლებ უბედურებაზე გააკეთეს აქცენტი და რუსეთისკენ გადაიხარეს. ერთ უბედურებად თვლიან რუსეთს, მეორედ — საქართველოს. რუსეთი აფხაზებს კეთილდღეობას სთავაზობს, ჩვენ რას ვთავაზობდით?

***— გასაგებია, რომ რუსეთი აფხაზებს კეთილდღეობას სთავაზობს, მაგრამ ამ შემთხვევაში აფხაზებს არჩევანის უფლება ჰქონდათ? ისე ჰყავს მოქცეული რუსეთს აფხაზები, რომ ელემენტარული შესწორებების შეტანა ძლივს გაბედეს.***

— რა თქმა უნდა, მაგრამ, თუ გინდა, თავი დაიცვა რუსეთის გავლენის, ანექსიისა და აგრესიისაგან, იმაზე გაცილებით მეტი უნდა მივიღოთ, ვიდრე აფხაზი იღებს რუსეთისაგან. ეს ეხება ჩვენს მეგობარ ქვეყნებს. მთავარი აქცენტი სუვერენიტეტზე, დემოკრატიულ საწყისებზე, ევროპული და სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელება და არა რომელიმე ჯგუფის ლობირებასა და მის სახელმწიფოს სათავეში მოყვანაზე. გინდა სამხედრო თვალსაზრისით შევადაროთ, რა შეიარაღება ექნებათ აფხაზებს და რა შეიარაღება გვექნება ჩვენ, რა შეიარაღება აქვს რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორს, სომხეთის მილიციასა და სამხედროებს და რა შეიარაღება გვაქვს ჩვენ. რა ინვესტიციები შემოვა აფხაზეთში, რა ინვესტიციები შედის რუსეთის მხრიდან სომხეთში და რა ინვესტიციები შემოდის საქართველოში. ეს ყველაფერი არის დათვლადი. სახელმწიფო თუ უნდა შედგეს და სრულფასოვანი პარტნიორობა დაამყაროს ამ ქვეყანასთან, ის არ უნდა იყოს მსოფლიო ბანკის ვალებზე აგებული და იქიდან არ უნდა იკვებებოდეს. ჩვენთან მიზერული ინვესტიციებია.

***— დღეს არის ისეთი რეალობა, როცა რუსეთმა აფხაზებთან გააფორმა ხელშეკრულება და აფხაზეთში ძალიან მძლავრ თავდაცვის სისტემებს ქმნის. იმავეს აპირებს ცხინვალთან დაკავშირებით? რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ სიტუაციაში?***

— კომპლექსური მოქმედებაა საჭირო. ამ ხელისუფლებამ დრო დაკარგა. სტრატეგიული ინტერესების ჯგუფების დამოუკიდებელი არსებობა, კავკასიასთან ურთიერთობების დარეგულირება და გააქტიურება და სხვა კომპლექსური საკითხები გადაწყვეტა იყო საჭირო, რომელიც აღემატება დღევანდელი მთავრობის, პარლამენტისა და არსებული ძალების გონებრივ და ინტელექტუალურ რესურსებს. საჭირო იყო რესურსების მოძიება და მათთან თანამშრომლობა. ამის მაგივრად „ოცნება“, ფაქტობრივად, დაშლილია. რა მაგალითს ვაძლევთ აფხაზებს, სამაჩაბლოელებს და, საერთოდ, ჩვენს ევროპელ პარტნიორებს. ეროვნული თანხმობის იმიტაციური ჯგუფი და პარლამენტი თუ მთავრობა კი არ უნდა შექმნილიყო, სრულფასოვანი უნდა ყოფილიყო. დიდ იდეოლოგიაზე, ეროვნულ, სულიერ და პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე ჩამოყალიბებული გუნდი უნდა ყოფილიყო. ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. კონსტიტუციური და ფინანსური პრობლემებია. პოლიტიკური კრიზისია. ეს თუ არ დალაგდა, რა გამოსწორებაზეა საუბარი. დასავლელი პარტნიორების მხრიდან ვიწრო პოლიტიკური ჯგუფის ხელდასმა და შემდეგ შენარჩუნება კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ ევროპულ სტრატეგიულ იდეებთან დაკავშირებით პარტნიორობა. ეს უნდა გააკეთოს დასავლეთმა ყველა მასშტაბით, ყველა განზომილებით, ყველა ინსტიტუტში, ყველა ორგანიზაციაში, გაეროსა თუ სტრასბურგში. თუ უნდათ ჩვენთან პარტნიორობა, თუ უნდათ ამ ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნება, მაშინ ამ საქმეს სერიოზულად უნდა მიჰყვნენ. აღნიშნული ურთიერთობები უკმაყოფილებასა და აღშფოთებას უნდა გასცდეს და სერიოზული და პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულება უნდა გამოიკვეთოს. უნდა შეჩერდეს რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსია, უნდა მიეცეთ ინსტიტუტებს თავდაცვისუნარიანობის მაღალი ხარისხი, ინვესტიციები უნდა შემოვიდეს და სასიცოცხლო სივრცე არ უნდა გადაიკეტოს, თორემ აქ საშინელებები მოხდება.

***— ჩემთვის პოლიტიკოსებს უთქვამთ, რომ დასავლეთის ინტერესია შუა აზიისკენ გზის გაკაფვა, დაასწროს რუსეთს. გზის გაკაფვა მიმდინარეობდა ბოლო 20 წლის განმავლობაში, მაგრამ ბოლოს ვნახეთ, რომ დასავლეთის მხრიდან გზის გაკაფვის მაგივრად, რუსეთის მხრიდან ამ გზის ჩაკეტვა ხდება. რუსეთი უკვე ჩვენთან გამავალ მილსადენზეც კი პრეტენზიას აცხადებს.***

— ამის ადეკვატური ღონისძიებები უნდა გაატაროს.

***— საუბარი იყო ასევე იმაზე, რომ დასავლეთი რუსეთს განდევნიდა შავი ზღვის აუზიდან და ტერიტორიების დაბრუნება ძალიან გაგვიადვილდებოდა. ამის მაგივრად ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი არა თუ განიდევნა შავი ზღვიდან, არამედ უფრო მეტად დამკვიდრდა. კავკასია დასავლეთის ინტერესის საგანი კიდევ არის?***

— დასავლეთის ინტერესებში კავკასია რომ არ იყოს, ჩვენ ამდენ ხანს ვერ გავძლებდით. ისინი გვინახავენ და გვმფარველობენ, თორემ ჩვენგან აღარაფერი დარჩებოდა. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. ჩვენსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა გაცილებით ინტენსიური უნდა იყოს.

# უკრაინის ახალი პარლამენტი მუშაობას შეუდგა

## არჩეულია ახალი სპიკერი, შექმნილია ახალი უმრავლესობა

27 ნოემბერს უკრაინის ახალი უმაღლესი რადა მუშაობას შეუდგა. ეს არის პირველი პარლამენტი დამოუკიდებლობის 20-წლიანი პერიოდის მანძილზე, სადაც უმრავლესობა პროდასავლურ ძალებს ექნებათ. რასაკვირველია, ახალი რადის შემადგენლობა იდეალურისაგან შორსაა, მასში ძველი სახეები უხვადაა, რაც თანაბრად ეხება როგორც ოპოზიციას, ისე უმრავლესობასაც. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ ახალი უმრავლესობა მკვეთრად პროდასავლური იდეოლოგიის ბაზაზე დაკომპლექტდა.

პარლამენტის დეპუტატებს შორის, „ძველების“ გარდა, ახალგაზრდა, ენერგიული და პატრიოტულად ორიენტირებული პოლიტიკოსებიც არიან. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ადამიანი-ლეგენდა, პოლიტპატიმარი 40 წლის სტაჟით, იური შუხევიჩი. „ბერმუხა“ — ეს რეპუტაცია მან მართლაც დაიმსახურა.





### კაცი–ლეგენდა

იური ბოგდან შუხევიჩი 1933 წელს ლვოვის მახლობლად დაიბადა. მამამისი, რომან შუხევიჩი (გენერალი ჩუპრინკა), ბანდერელთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და უკრაინის აჯანყებულთა არმიის (უპა) მეთაური იყო. იური პირველად 1946 წელს დააპატიმრეს. მაშინ ის სულ 12 წლისა იყო.

ნორჩი იური დონბასში გადაიყვანეს და „ხალხის მტრების“ შვილებისათვის განკუთვნილ სპეციალურ ბავშვთა სახლში მოათავსეს. ფაქტობრივად, ეს იგივე ციხე იყო. იურიც იქიდან გაიქცა. მან დასავლეთ უკრაინამდე ჩაღწევა მოახერხა და მამასთან კავშირი დაამყარა. 1948 წელს თხუთმეტი წლის შუხევიჩს კვლავ აპატიმრებენ. „სამეულმა“ მას ათი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

— „დათბობისას“ ხრუშჩოვმა გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც სტალინიზმის დროს გასამართლებული არასრულწლოვანი პატიმრები ამნისტიას ექვემდებარებოდნენ. კანონი იური შუხევიჩზეც გავრცელდა,— წერს ანატოლი ლუპინოსი.

საბჭოთა ხელისუფლება იური შუხევიჩის მოსყიდვას ცდილობდა. მას სთავაზობდნენ, უარი ეთქვა მამამისზე, დაეგმო ბანდერელთა მოძრაობა და, სამაგიეროდ, კარიერასა და დაწინაურებას ჰპირდებოდნენ. იური შუხევიჩმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ის კვლავ დააპატიმრეს. სსრკ-ის გენერალური პროკურორი რუდენკო მასზე იტყვის:

— იური შუხევიჩის გათავისუფლება დაუშვებელია! ის არა მარტო ბანდერელთა ლიდერის ვაჟია, თავადაც ბანდერელია!

პატიმრობიდან შუხევიჩი 1958 წელს გაათავისუფლეს, მაგრამ მას უკრაინაში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა, ცხოვრობდა ნალჩიკში, მუშაობდა ელექტრომონტიორად. ის აქტიურად მონაწილეობდა იატაკქვეშა ნაციონალისტურ მოძრაობაში, წერდა ბრუშურებს, სტატიებს, რომლებიც თვითგამოცემის გზით ვრცელდებოდა. ამის გამო ის კიდევ რამოდენიმეჯერ დააპატიმრეს. სულ საბჭოთა გულაგებში 40 წელი გაატარა. ხანგრძლივმა პატიმრობამ ჯანმრთელობა შეურყია. იური შუხევიჩმა დაკარგა მხედველობა, რის გამოც პატიმრებისათვის განკუთვნილ ინვალიდთა სახლში ათავსებენ. „პერესტროიკის“ დროს ბევრი პოლიტპატიმარი გაათავისუფლეს. მიუხედავად ამისა, შუხევიჩი კვლავ ინვალიდთა სახლში რჩებოდა. გორბაჩოვის ხელისუფლებამ ის მხოლოდ უკრაინული ეროვნული მოძრაობის საპროტესტო აქციების შემდეგ გაათავისუფლა. ბრმა შუხევიჩი უკრაინაში დაბრუნდა. ის ყველაზე რადიკალური ორგანიზაციის „უკრაინის პარტიათაშორისო ასამბლეის“ (უმა) ერთ-ერთი დამაარსებელია. სწორედ უპა-ს ბაზაზე შეიქმნა სახელგანთქმული უნა-უნსო, რომლის თავმჯდომარედ იური შუხევიჩი აირჩიეს.

1992 წელს აფხაზეთის ომი დაიწყო. უკრაინაში მოქმედმა რუსულმა მეხუთე კოლონამ აღვირახსნილი ანტიქართული საქმიანობა გააჩაღა. რუსეთის ჯაშუშები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ აფხაზეთი საქართველოს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გადაეცა.

— სტალინისა და ბერიას ინიციატივით განხორციელდა ეთნოწმენდა, რის შედეგიცაა ის, რომ დღეს აფხაზეთში ქართველები უმრავლესობას შეადგენენ!— ამტკიცებდნენ მოსკოვის მიერ მოსყიდული მწერლუკანები.

შუხევიჩი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც პროვოკატორებს საკადრისი პასუხი გასცა. ის იყო პირველი უკრაინელი ლიდერი, ვინც ხმამაღლა განაცხადა, რომ აფხაზეთი საქართველოს ძირძველი კუთხეა, რომ აქ ქართველები მუდამ უმრავლესობას შეადგენენ და აფხაზეთში მიმდინარეობს არა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, არამედ რუსეთ-საქართველოს ომიო. შუხევიჩმა უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ უკრაინაში ჩვენი ქვეყნის შესახებ სიმართლე გავრცელდა. უკრაინის მაშინდელი მთავრობა, პარლამენტი და, რაც მთავარია, უკრაინელი ხალხი საქართველოს მხარეს დადგა, უნა-უნსოს მებრძოლები კი ომში ქართველების მხარეს იბრძოდნენ. 9 მათგანი ბრძოლის ველზე დაეცა, 50 დაიჭრა, აქედან 15 სამუდამოდ ხეიბარი გახდა.

— ჩვენი, როგორც უკრაინელი ნაციონალისტების ვალი იყო, საქართველოს მხარში ამოვდგომოდით! მომავალშიც ასე იქნება!— განაცხადა შუხევიჩმა.

გადიოდა წლები. იური შუხევიჩი უკვე დამოუკიდებელ უკრაინაში აქტიურ მოღვაწეობას განაგრძობდა. 2006 წელს პრეზიდენტ იუშჩენკოს ბრძანებით მას უკრაინის გმირის წოდება მიენიჭა. დღესაც მოხუცი ბრმა შუხევიჩი კვლავ ერთგულად დგას ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე, ოღონდ ამჯერად უკვე არა მხოლოდ როგორც ეროვნული მოძრაობის ვეტერანი და უნა-უნსოს ლიდერი, არამედ, როგორც უკრაინის პარლამენტის დეპუტატი.

### იაცენიუკი პრემიერის პოსტზე რჩება, გროისმანი სპიკერი ხდება

27 ნოემბერს უკრაინის ახალი პარლამენტის დეპუტატებმა ფიცი მიიღეს. დარბაზში ძველ თუ ახალ პოლიტიკოსებთან ერთად ისხდნენ საველე მეთაურებიც, რომლებიც ახლა დეპუტატები გახდნენ. მათ შორის არიან პატრიოტული ორგანიზაცია „მემარჯვენე სექტორის“ ლიდერები ბერეზა და იაროში, ბატალიონ „დონბასის“ მეთაური სემიონ სემენჩენკო, „აიდარის“ მეთაური მასიიჩუკი და ა.შ.

— ჩვენ მებრძოლი უკრაინის ინტერესებს დავიცავთ, იმ უკრაინისა, რომელიც დღეს დონბასში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის იბრძვის!-განუცხადა ჟურნალისტებს სემიონ სემენჩენკომ.

ახალი საპარლამენტო უმრავლესობა 302 დეპუტატს ითვლის. პარლამენტი მუშაობას ენერგიულად შეუდგა. პირველსავე დღეს პრემიერის პოსტზე კვლავ არსენი იაცენიუკი დაამტკიცეს. რაც შეეხება მთავრობას, მისი დაკომპლექტება 2 დეკემბრამდე დასრულდება.

— მთავრობა მნიშვნელოვნად გადახალისდება,— განაცხადა პრეზიდენტმა პოროშენკომ.

რადამ ახალი სპიკერიც აირჩია. ეს თანამდებობა პეტრო პორშენკოს მეგობარმა ვლადიმერ გროისმანმა (დაბ 1978 წ.) დაიკავა. ის ვინიცაში დაიბადა და გაიზარდა, წლების განმავლობაში ბიზნესსტრუქტურებში მუშაობდა. გროისმანს ორი უმაღლესის დიპლომი აქვს. დაამთავრა პერსონალის მართვის რეგიონული აკადემია და უკრაინის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფოს მართვის ეროვნული აკადემია. პოლიტიკაში 2002 წელს მოვიდა, როცა ვინიცის ქალაქის საბჭოს დეპუტატი გახდა. შემდგომში ვინიცის მერადაც აირჩიეს.

— მერის პოსტზე გროისმანმა თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა მეურნემ და ნიჭიერმა ბიზნესმენმა,— იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ბევრი გროისმანს უკრაინის ახალ პრემიერად მოიაზრებდა. ექსპერტები ხაზს უსვამდნენ როგორც მის მენეჯერულ გამოცდილებას, აგრეთვე პრეზიდენტთან სიახლოვესაც. თუმცა არჩევნების შედეგებმა გროისმანის პრემიერულ ამბიციებს ამ ეტაპზე ხაზი გადაუსვა. იაცენიუკის „სახალხო ფრონტმა“ პეტრო პოროშენკოს ბლოკზე ოდნავ მეტი ხმა დააგროვა. გროისმანიც სპიკერის პოსტს დასჯერდა, იაცენიუკმა კი პრემიერობა შეინარჩუნა. როგორ გაართმევს თავს გროისმანი სპიკერის თანამდებობას, მომავალი გვიჩვენებს.

### ომი არ ცხრება

ზამთრის მოახლოებასთან ერთად, ბევრმა დონბასელმა მოლაშქრემ პოზიციები მიატოვა და შინ დაბრუნდა. ამან მოსკოვი შეაშფოთა. რუსეთიდან დონბასში ახალ-ახალი სამხედრო ნაწილები შემოვიდა. „ჰუმანიტარული ტვირთის“ ნიღბით რუსეთიდან დონბასში იარაღის მორიგი პარტია მიიღეს. კრემლი ყველაფერს აკეთებს, რათა დონბასში ომის ხანძარი არ ჩაქრეს.

27 ნოემბერს დონბასში ძირითადად პოზიციური ბრძოლები გრძელდებოდა. გაიმართა მძაფრი საარტილერიო დუელი. უკრაინელებმა მტრის ყველა საცეცხლე წერტილის განადგურება შეძლეს. ასევე მოგერიებულ იქნა მორიგი შეტევა დონეცკის აეროპორტზე.

— აეროპორტს ისევ ჩვენები აკონტროლებენ,— იტყობინება „ინტერი“.

სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა განახორციელეს დარტყმა სტანიცა ლუგანსკაიაზე. შედეგად 4 უკრაინელი სამხედრო დაიჭრა, არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, მოკლულია 22 რუსი ჯარისკაცი. ამის შემდეგ რუსებმა და სეპარატისტმა-ბოევიკებმა უკან დაიხიეს, თუმცა მშვიდობიანი შესვენება დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე სტანიცა ლუგანსკაიას „გრადები“ უკვე რუსეთის ტერიტორიიდან დაუშინეს:

— ჩვენი ბიჭები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ცეცხლი რუსეთიდან გაგვიხსნეს, ჩვენებს კი პასუხის გაცემის უფლება არ ჰქონდათ,— იტყობინება „ინტერი“.

საარტილერიო დუელი მარიუპოლის მისადგომებთანაც გაიმართა. რუსული არტილერიის ზალპს უკრაინელებმა საპასუხო ზალპებით უპასუხეს. რუსმა მედესანტეებმა, რომლებიც მარიუპოლის მისადგომებთან იყვნენ, უკან დაიხიეს და ახლა ნოვო-აზოვსკის მიდამოებში იმყოფებიან. მარიუპოლთან დგანან „დონბასელი მოლაშქრეები“ და რუსი არტილერისტები, რომლებიც უკრაინელთა პოზიციებს ცეცხლს უშენენ. საარტილერიო დუელები მიმდინარეობდნენ ნიკიტინოსთან, პავლოვკასთან და ა.შ. შედეგად დაინგრა სახლები, გაიზარდა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, მათ შორს არიან მოხუცები, ქალები და ბავშვები. შიმშილის, სიცივისა და ნგრევისაგან გამწარებული მოსახლეობა დონბასის დატოვებას განაგრძობს. ცალკეული ცნობით, ლტოლვილთა რიცხვმა უკვე 470 000-ს მიაღწია.

### პეტრო პოროშენკო: „უკრაინა დამოუკიდებელ უნიტარულ სახელმწიფოდ დარჩება!“

27 ნოემბერს პრეზიდენტი პოროშენკო გამოვიდა პარლამენტში. მან დეპუტატებს მოუწოდა, რათა უკრაინის ნეიტრალური სტატუსი გააუქმონ:

— ეს ნატოში გაწევრიანებაში დაგვეხმარება, — თქვა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ მოიყვანა უახლესი სოციალური კვლევის შედეგები, რომლებიც ამერიკელმა სოციოლოგებმა ჩაატარეს. ამ კვლევების თანახმად, უკრაინელთა 90 პროცენტი ფედერალიზაციის წინააღმდეგია და ქვეყნის უნიტარულ მოწყობას მხარს უჭერს. ნატოში გაწევრიანების მომხრეთა რიცხვი კი 64 პროცენტამდე გაიზარდა.

— ეს მაგალითი უნდა იყოს ყველა იმ „კეთილისმსურველისათვის“, რომლებიც ფედერალიზაციასა და ნეიტრალიტეტის გამოცხადებას გვირჩევენ!— თქვა პრეზიდენტმა.

ამრიგად, პოროშენკომ გამოკვეთა ის ძირითადი მიმართულებები, რომელიც უახლოესი ხუთი წლის მანძილზე უკრაინის საშინაო თუ საგარეო ვექტორებს განსაზღვრავს. საშინაო პოლიტიკაში ესაა ძირეული რეფორმები, დეცენტრალიზაცია, მაგრამ ქვეყნის უნიტარული მოწყობის შენარჩუნება, უკრაინულის, როგორც ერთად-ერთი სახელმწიფო ენის სტატუსის დაფიქსირება. საგარეო პოლიტიკაში ნეიტრალიტეტზე უარს თქმა, ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანება. კურსი, რომელიც პოროშენკომ აირჩია, უკრაინის ინტერესებს მთლიანად შეესაბამება, მაგრამ ეს კრემლის სქემის სრული იგნორირებაა. მოსკოვიც მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს აამოქმედებს, რათა უკრაინა დაანაწევროს.

— პუტინისათვის უკვე ცხადია, რომ უკრაინის მთელ ტერიტორიაზე კონტროლს ვეღარასოდეს აღადგენს. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩიც შეეცდება, უკრაინას მოსწყვიტოს სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონები, სადაც განლაგებულია როგორც სამხედრო ქარხნები, ასევე მრეწველობის 70 პროცენტი, პორტები და ყველაზე ნაყოფიერი მიწები,— თვლის პოლიტოლოგი ფისენკო.

ამრიგად, ფორმულირება „კიევი მოსკოვის წინააღმდეგ“ კვლავაც ძალაშია. მეტიც, უახლოეს მომავალში ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდება. უკრაინელი ხალხი ამისათვის მზადაა. რამდენად არიან საამისოდ პოროშენკო და მისი გუნდი?

ნიკა თევზაძე

---

## რუსეთს, შესაძლოა, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება ჩამოართვან



— არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთს, შესაძლოა, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება ჩამოართვან,— განაცხადა უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ.

— აღნიშნული განცხადება პრესაში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების პასუხად გაკეთდა. მათი ავტორები ირწმუნებოდნენ, რომ რუსეთმა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება დიდძალი ქრთამის წყალობით მოიპოვა.

— თუკი კორუფციის ფაქტი დადასტურდა, რუსეთს, შესაძლოა, ჩემპიონატის ჩატარების უფლება ჩამოერთვას,— ამბობს პლატინი.

## გუბერნატორი უარზეა



მისურის გუბერნატორმა ჯეი ნიქსონმა უარი განაცხადა, რათა პოლიციელ უილსონის მეორე პროცესი შედგეს. როგორც ცნობილია, სწორედ უილსონის ტყვიამ იმსხვერპლა შავკანიანი მოზარდი მაიკლ ბრაუნი, რასაც მასობრივი არეულობები მოჰყვა.

— ვერ ვხედავ ვერანაირ აუცილებლობას, რათა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მეორედ შეიკრიბოს,— თქვა ნიქსონმა.

თავად უილსონმა თავის ტელეინტერვიუში აღნიშნა, რომ ინსტრუქციის თანახმად მოქმედებდა. „მე თავდაცვის მიზნით ვმოქმედებდი! ბრაუნი შეიარაღებული იყო და ჩემს სიცოცხლეს ემუქრებოდა“,— აცხადებს უილსონი.

## ბრიდლავის გაფრთხილება



— მიმდინარეობს ყირიმის მილიტარიზაცია. ეს მთელ შავიზღვისპირეთის რეგიონს საფრთხეს უქმნის,— განაცხადა ნატოს სახმელეთო ჯარების სარდალმა, გენერალმა ბრიდლავმა.

გენერლის ცნობით, რუსეთმა კრასნოდარიდან ყირიმში გადმოიყვანა გამანადგურებლები და სარაკეტო დანადგარები.

— ძალები, რომლებიც დღეს ყირიმშია განლაგებული, საკმარისია, რათა რუსეთმა მთელ შავიზღვისპირეთის რეგიონზე კონტროლი დაამყაროს,— აცხადებს ბრიდლავი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ძალ-სახსართა პრობლემების:

☎ 599-91-37-65, 234-02-38

2014, 29 — 30 ნოემბერი, №283

# იტალიაში ტურინული დერბია

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.11 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 4.6 | 3.4 | 1.8 |
| 29.11 | სუონსი-კრ.პალასი | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| 29.11 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 2.0 | 3.3 | 3.75 |
| 29.11 | ბარნლი-ასტონ ვილა | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 29.11 | ლივერპული-სტოკი | 1.61 | 3.75 | 5.5 |
| 29.11 | ქპრ-ლესტერი | 2.25 | 3.2 | 3.2 |
| 29.11 | მანჩესტერი-ჰალი | 1.28 | 5.0 | 11.0 |
| 29.11 | სანდერლენდი-ჩელსი | 8.0 | 4.5 | 1.4 |
| 30.11 | საუთჰემპტონი-სიტი | 2.87 | 3.5 | 2.3 |
| 30.11 | ტოტენჰემი-ევერტონი | 2.3 | 3.3 | 3.1 |

### ვესტ ბრომვიჩი-არსენალი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-იონას ოლსონი

არსენალი: ***ტრავმ***-მიკელ არტეტა, იაია სანოგო, ჯეკ უილშირი, თეო უოლკოტი, მესუთ ოზილი, მეტიუ დებუში

### სუონსი-კრ.პალასი

სუონსი: ***ტრავმ***-ფედერიკო ფერნანდესი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-დამიენ დელანი, ადრიან მარიაპა, კევინ დოილი

### ვესტ ჰემი-ნიუკასლი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-არავინ

ნიუკასლი: ***ტრავმ***-რაიან ტეილორი, მეჰდი აბედი, რონალდო აარონსი, გაბრიელ ობერტანი, ხონას გუტიერესი, სემ დე იონგი

### ბარნლი-ასტონ ვილა

ბარნლი: ***ტრავმ***-მეთიუ ტეილორი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-რონი ვლაარი, ფილიპ სენდეროსი, ნათან ბაკერი, ფაბიან დელფი

### ლივერპული-სტოკი

ლივერპული: ***ტრავმ***-მარიო ბალოტელი, დანიელ სტარიჯი

სტოკი: ***ტრავმ***-ვიქტორ მოიესი, პიტერ ოდემვიჯი

### ქპრ-ლესტერი

ქპრ: ***ტრავმ***-სანდრო, ადელ ტააბარტი, ალეხანდრო ფორლინი

ლესტერი: ***ტრავმ***-დეან ჰამონდი

### მანჩესტერი-ჰალი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ლუკ შოუ, დელი ბლინდი, მარკოს როხო, რაფაელი, ფილ ჯონსი, რადამელ ფალკაო, იესე ლინგარდი

ჰალი: ***ტრავმ***-რობერტ სნოდგრასი

### სანდერლენდი-ჩელსი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-პატრიკ ვან ოლჰოტი, ბილი ჯონსი, ემანუელ გაჩერინი

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

### საუთჰემპტონი-სიტი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჯეიმს ვორდ-პრაისი

სიტი: ***ტრავმ***-ალექსანდარ კოლაროვი

### ტოტენჰემი-ევერტონი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ემანუელ ადებაიორი, ნასერ ჩადლი, ანდრეს თაუსენდი, დენი როუზი

ევერტონი: ***ტრავმ***-ჯეიმს მაკკარტნი, დარონ გიბსონი, ანტოლინ ალკარაზი, ჯონ სტოუნი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 12 | 10 | 2 | 0 | 30-11 | 32 |
| საუთჰემპტონი | 12 | 8 | 2 | 2 | 24-6 | 26 |
| სიტი | 12 | 7 | 3 | 2 | 24-13 | 24 |
| მანჩესტერი | 12 | 5 | 4 | 3 | 19-15 | 19 |
| ნიუკასლი | 12 | 5 | 4 | 3 | 14-15 | 19 |
| ვესტ ჰემი | 12 | 5 | 3 | 4 | 20-16 | 18 |
| სუონსი | 12 | 5 | 3 | 4 | 16-13 | 18 |
| არსენალი | 12 | 4 | 5 | 3 | 20-15 | 17 |
| ევერტონი | 12 | 4 | 5 | 3 | 22-19 | 17 |
| ტოტენჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 16-17 | 17 |
| სტოკი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-15 | 15 |
| ლივერპული | 12 | 4 | 2 | 6 | 15-18 | 14 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-17 | 13 |
| სანდერლენდი | 12 | 2 | 7 | 3 | 12-19 | 13 |
| კრ. პალასი | 12 | 3 | 3 | 6 | 17-21 | 12 |
| ასტონ ვილა | 12 | 3 | 3 | 6 | 6-17 | 12 |
| ჰალი | 12 | 2 | 5 | 5 | 14-17 | 11 |
| ლესტერი | 12 | 2 | 4 | 6 | 11-18 | 10 |
| ბარნლი | 12 | 2 | 4 | 6 | 8-20 | 10 |
| ქპრ | 12 | 2 | 2 | 8 | 11-23 | 8 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.11 | ხეტაფე-ბილბაო | 2.9 | 3.0 | 2.6 |
| 29.11 | ესპანიოლი-ლევანტე | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 29.11 | მალაგა-რეალი | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 29.11 | სელტა-ეიბარი | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 30.11 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.18 | 6.5 | 17.0 |
| 30.11 | სევილია-გრანადა | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 30.11 | კორდობა-ვილიარეალი | 4.4 | 3.4 | 1.85 |
| 30.11 | ვალენსია-ბარსელონა | 5.5 | 4.33 | 1.55 |
| 01.12 | ალმერია-რაიო | 2.3 | 3.3 | 3.1 |

### ხეტაფე-ბილბაო

ხეტაფე: ***ტრავმ***-ალვარო ვასკესი; ***დისკვ***-ალექსისი

ბილბაო: ***ტრავმ***-ხავიერ ეჩეიტა, გილერმო ფერნანდესი

### ესპანიოლი-ლევანტე

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ფრანსისკო მონტანესი

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ

### მალაგა-რეალი

მალაგა: ***ტრავმ***-ხუანმი ხიმენესი, ნორდინ ამრაბატი; ***დისკვ***-იგნასიო კამაჩო

რეალი: ***ტრავმ***-ლუკა მოდრიჩი

### სელტა-ეიბარი

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ

### ატლეტიკო-დეპორტივო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ჟოაო მირანდა; ***დისკვ***-გაბი

დეპორტივო: ***ტრავმ***-ლუის ფარინა, ლუკასი

### სევილია-გრანადა

სევილია: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-კოკე ანდუჰარი

გრანადა: ***ტრავმ***-დარვინ მაჩისი, რუბენ როჩინა

### კორდობა-ვილიარეალი

კორდობა: ***ტრავმ***-არავინ

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ჯოვანი დოს სანტოსი, მატეო მუკაჩიო

### ვალენსია-ბარსელონა

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

ბარსელონა: ***ტრავმ***-ტომას ვერმალენი

### ალმერია-რაიო

ალმერია: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-რამონ აზეეზი

რაიო: ***ტრავმ***-ემილიანო ინსუა, ტონო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 12 | 10 | 0 | 2 | 46-11 | 30 |
| ბარსელონა | 12 | 9 | 1 | 2 | 30-6 | 28 |
| ატლეტიკო | 12 | 8 | 2 | 2 | 23-12 | 26 |
| ვალენსია | 12 | 7 | 3 | 2 | 24-11 | 24 |
| სევილია | 12 | 7 | 2 | 3 | 19-16 | 23 |
| მალაგა | 12 | 6 | 3 | 3 | 15-12 | 21 |
| სელტა | 12 | 5 | 5 | 2 | 17-12 | 20 |
| ვილიარეალი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-14 | 18 |
| ბილბაო | 12 | 4 | 3 | 5 | 10-13 | 15 |
| ხეტაფე | 12 | 4 | 2 | 6 | 9-16 | 14 |
| რაიო | 12 | 4 | 2 | 6 | 15-24 | 14 |
| ეიბარი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-19 | 13 |
| ლევანტე | 12 | 3 | 3 | 6 | 9-26 | 12 |
| ესპანიოლი | 12 | 2 | 5 | 5 | 12-16 | 11 |
| გრანადა | 12 | 2 | 5 | 5 | 6-17 | 11 |
| სოსიედადი | 12 | 2 | 4 | 6 | 12-16 | 10 |
| ალმერია | 12 | 2 | 4 | 6 | 9-14 | 10 |
| დეპორტივო | 12 | 2 | 4 | 6 | 12-21 | 10 |
| ელჩე | 12 | 2 | 4 | 6 | 12-24 | 10 |
| კორდობა | 12 | 0 | 7 | 5 | 10-20 | 7 |




## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.11 | სასუოლო-ვერონა | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 29.11 | კიევო-ლაციო | 3.5 | 3.25 | 2.15 |
| 30.11 | მილანი-უდინეზე | 1.61 | 4.0 | 5.0 |
| 30.11 | ემპოლი-ატალანტა | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 30.11 | კალიარი-ფიორენტინა | 3.25 | 3.5 | 2.15 |
| 30.11 | ჩეზენა-ჯენოა | 3.4 | 3.1 | 2.25 |
| 30.11 | პალერმო-პარმა | 1.91 | 3.6 | 3.8 |
| 30.11 | იუვენტუსი-ტორინო | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 30.11 | რომა-ინტერი | 1.83 | 3.6 | 4.2 |
| 01.12 | სამპდორია-ნაპოლი | 3.3 | 3.3 | 2.2 |

### სასუოლო-ვერონა

სასუოლო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-სიმონე ზაზა

ვერონა: ***ტრავმ***-ბოშკო იანკოვიჩი, მუნირ ობადი, ფრედერიკ სორენსენი

### კიევო-ლაციო

კიევო: ***ტრავმ***-რუბენ ბოტა

ლაციო: ***ტრავმ***-მაიკლ ჩიანი, ბრუნო პერეირა, სანტიაგო ჯენტილეტი; ***დისკვ***-სენად ლულიჩი

### მილანი-უდინეზე

მილანი: ***ტრავმ***-ალექსი

უდინეზე: ***ტრავმ***-ლუის მურიელი

### ემპოლი-ატალანტა

ემპოლი: ***ტრავმ***-ტიბერიო გუარენტე

ატალანტა: ***ტრავმ***-მარსელო ესტიგარიბია; ***დისკვ***-რიჩმონდ ბოაკიე

### კალიარი-ფიორენტინა

კალიარი: ***ტრავმ***-მარკო საუ

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მანუელ პასკუალი, ფედერიკო ბერნარდეში, ჯუზეპე როსი

### ჩეზენა-ჯენოა

ჩეზენა: ***ტრავმ***-გაბრიელ პერიკო, გვიდო მარილუნგო, ფრანსესკო რენძეტი; ***დისკვ***-დანიელე კაპელი

ჯენოა: ***ტრავმ***-სებასტიან დი მაიო; ***დისკვ***-სტეფანო სტურარო

### პალერმო-პარმა

პალერმო: ***ტრავმ***-ფრანჩესკო ბოლძონი

პარმა: ***ტრავმ***-აბდელკადერ გეზალი, მასიმო კოდა, კრისტობალ ხორკერა, მატია კასანი, ჯონათან ლუდოვიკ ბიაბიანუ, გაბრიელ პალეტა

### იუვენტუსი-ტორინო

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მარტინ კასერესი, ანდრე ბარძალი; ***დისკვ***-სიმონე პადოინი

ტორინო: ***ტრავმ***-ანტონიო ნოჩერინო

### რომა-ინტერი

რომა: ***ტრავმ***-ლეანდრო კასტანი, ფედერიკო ბალძარეტი

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

### სამპდორია-ნაპოლი

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლორენცო ინსინიე, ხუან ზუნიგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 12 | 10 | 1 | 1 | 28-4 | 31 |
| რომა | 12 | 9 | 1 | 2 | 21-7 | 28 |
| ნაპოლი | 12 | 6 | 4 | 2 | 23-15 | 22 |
| სამპდორია | 12 | 5 | 6 | 1 | 15-9 | 21 |
| ჯენოა | 12 | 5 | 5 | 2 | 16-12 | 20 |
| ლაციო | 12 | 6 | 1 | 5 | 21-16 | 19 |
| მილანი | 12 | 4 | 6 | 2 | 21-17 | 18 |
| უდინეზე | 12 | 5 | 3 | 4 | 15-15 | 18 |
| ინტერი | 12 | 4 | 5 | 3 | 18-15 | 17 |
| ფიორენტინა | 12 | 4 | 4 | 4 | 12-11 | 16 |
| სასუოლო | 12 | 3 | 6 | 3 | 11-15 | 15 |
| ვერონა | 12 | 3 | 5 | 4 | 14-20 | 14 |
| პალერმო | 12 | 3 | 5 | 4 | 13-19 | 14 |
| ემპოლი | 12 | 3 | 4 | 5 | 14-19 | 13 |
| ტორინო | 12 | 3 | 3 | 6 | 7-13 | 12 |
| კალიარი | 12 | 2 | 5 | 5 | 20-20 | 11 |
| ატალანტა | 12 | 2 | 4 | 6 | 5-13 | 10 |
| კიევო | 12 | 2 | 3 | 7 | 9-17 | 9 |
| ჩეზენა | 12 | 1 | 5 | 6 | 9-19 | 8 |
| პარმა | 12 | 2 | 0 | 10 | 14-30 | 6 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.11 | აუგსბურგი-ჰამბურგი | 1.95 | 3.5 | 3.8 |
| 29.11 | ვერდერი-პადერბორნი | 2.15 | 3.5 | 3.2 |
| 29.11 | ჰერტა-ბაიერნი | 13.0 | 6.5 | 1.2 |
| 29.11 | შალკე-მაინცი | 1.95 | 3.75 | 3.6 |
| 29.11 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 29.11 | ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი | 1.75 | 4.0 | 4.2 |
| 30.11 | ვოლფსბურგი-გლადბახი | 1.95 | 3.75 | 3.6 |
| 30.11 | აინტრახტი-დორტმუნდი | 4.75 | 4.33 | 1.61 |

### აუგსბურგი-ჰამბურგი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-მარვინ ჰიტცი, შონ პარკერი, რონი ფილპი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლაი მიულერი, ვალჯმირ ნაფიუ, მარსელ იანსენი; ***დისკვ***-დენის დიკმაიერი

### ვერდერი-პადერბორნი

ვერდერი: ***ტრავმ***-ლუდოვიკ ობრაიანი, ფრანკო დი სანტო, მარნონ ბუში; ***დისკვ***-კლემენს ფრიცი, სანტიაგო გარსია

პადერბორნი: ***ტრავმ***-უვე ჰუნემაიერი, იენს ვემერი, ტომას ბერტელსი

### ჰერტა-ბაიერნი

ჰერტა: ***ტრავმ***-პეტერ პეკარიკი, ფაბიან ლუშტენბერგერი, სებასტიან ლანგკამფი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ფილიპ ლამი, დავიდ ალაბა, კლაუდიო პიზარო, პეპე რეინა, ჰოლდერ ბადშტურბერი, ხავი მარტინესი, ტიაგო ალკანტარა

### შალკე-მაინცი

შალკე: ***ტრავმ***-სიდნეი სამი, ჯოელ მატიპი, ჩინედუ ობასი, ჯულიან დრექსლერი, სეად კოლასინაჩი, ჯეფერსონ ფარფანი

მაინცი: ***ტრავმ***-ჯულიან ბაუმგარტლინგერი, კრისტოფ მორიცი, იონას ჰოფმანი

### ლევერკუზენი-კიოლნი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ჯულიო დონატი, კირიაკოს პაპადოპულოსი, შტეფან რეინარტცი

კიოლნი: ***ტრავმ***-კაზუკ ნაგასავა, სიმონ ზოლერი, მარსელ რიისე, პატრიკ ჰელმესი

### ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ადამ ზალაი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-მარიუს სტანკევიჩუსი, ლეონ ანდრეასენი

### ვოლფსბურგი-გლადბახი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ლუის გუსტავო

გლადბახი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-გრანიტ ჰაკა

### აინტრახტი-დორტმუნდი

აინტრახტი: ***ტრავმ***-კარლოს ძამრანო, კონსტანტ ჯაპკა, კევინ ტრაპი, ნელსონ ვალდესი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარკო როისი, სოკრატის პაპასტატოპულოსი, მატს ჰუმელსი, იაკუბ ბლაჩიკოვსკი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 12 | 9 | 3 | 0 | 31-3 | 30 |
| ვოლფსბურგი | 12 | 7 | 2 | 3 | 24-12 | 23 |
| გლადბახი | 12 | 5 | 5 | 2 | 16-9 | 20 |
| ლევერკუზენი | 12 | 5 | 5 | 2 | 20-16 | 20 |
| ჰანოვერი | 12 | 6 | 1 | 5 | 10-14 | 19 |
| აუგსბურგი | 12 | 6 | 0 | 6 | 15-12 | 18 |
| შალკე | 12 | 5 | 2 | 5 | 17-17 | 17 |
| ჰოფენჰაიმი | 12 | 4 | 5 | 3 | 17-18 | 17 |
| მაინცი | 12 | 3 | 7 | 2 | 15-14 | 16 |
| პადერბორნი | 12 | 4 | 4 | 4 | 18-18 | 16 |
| კიოლნი | 12 | 4 | 3 | 5 | 12-13 | 15 |
| აინტრახტი | 12 | 4 | 3 | 5 | 20-24 | 15 |
| ჰერტა | 12 | 4 | 2 | 6 | 17-22 | 14 |
| ფრაიბურგი | 12 | 2 | 6 | 4 | 13-16 | 12 |
| ჰამბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 6-14 | 12 |
| დორტმუნდი | 12 | 3 | 2 | 7 | 14-19 | 11 |
| ვერდერი | 12 | 2 | 4 | 6 | 14-26 | 10 |
| შტუტგარტი | 12 | 2 | 3 | 7 | 14-26 | 9 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.11 | პსჟ-ნიცა | 1.18 | 6.5 | 17.0 |
| 29.11 | რეიმსი-ბასტია | 2.15 | 3.0 | 3.75 |
| 29.11 | კაენი-მონპელიე | 2.37 | 3.1 | 3.2 |
| 29.11 | ტულუზა-ლორიანი | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| 29.11 | რენი-მონაკო | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 29.11 | ლანსი-მეცი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 30.11 | ბორდო-ლილი | 2.2 | 3.0 | 3.6 |
| 30.11 | ევიანი-გენგამი | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 30.11 | სტ.ეტიენი-ლიონი | 2.3 | 3.2 | 3.2 |

### პსჟ-ნიცა

პსჟ: ***ტრავმ***-ლუკას მოურა, მარკო ვერატი, დავიდ ლუიზი

ნიცა: ***ტრავმ***-ნილ მაუპაი, კარლოს ედუარდო, მეთიუ ბოდმერი, დიდიე დიუგარი

### რეიმსი-ბასტია

რეიმსი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მიკანჯო, დიეგო, ელინატ ატარი, მატს ალბეკი, საშა ბასტიენი

ბასტია: ***ტრავმ***-ელ-ჰაჯი ბა

### კაენი-მონპელიე

კაენი: ***ტრავმ***-დენის აპია, ნიკოლას სებე, ტომას ლემარი

მონპელიე: ***ტრავმ***-ვიქტორ მონტანო

### ტულუზა-ლორიანი

ტულუზა: ***ტრავმ***-უილიამ მათეუსი

ლორიანი: ***ტრავმ***-რაფიდინე აბდულა, ალან ტრაორე

### რენი-მონაკო

რენი: ***ტრავმ***-კამილ გროსიცკი

მონაკო: ***ტრავმ***-ლავინ კურზავა

### ლანსი-მეცი

ლანსი: ***ტრავმ***-ჟერომ ლემო, პატრიკ ფრადი

მეცი: ***ტრავმ***-ფედერიკო ნადრადა

### ბორდო-ლილი

ბორდო: ***ტრავმ***-ჟულიენ ფობერი, ჩეიკ დიაბატე, ტიაგო ილორი

ლილი: ***ტრავმ***-მარვინ მარტინი, მარკოს ლოპესი, სიმონ კიაერი, ჯონათან დელაპლასე

### ევიანი-გენგამი

ევიანი: ***ტრავმ***-არავინ

გენგამი: ***ტრავმ***-მამადუ სამასა, რონი შვარცი, ლადისლას დუმინა, დორიან ლევო

### სტ.ეტიენი-ლიონი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-მევუთ ერდინი, ალან მაქსიმინი, ფრანსუა კლერკი

ლიონი: ***ტრავმ***-არავინ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 14 | 10 | 1 | 3 | 30-13 | 31 |
| პსჟ | 14 | 8 | 6 | 0 | 28-10 | 30 |
| ლიონი | 14 | 8 | 3 | 3 | 27-11 | 27 |
| ნანტი | 14 | 6 | 6 | 2 | 13-9 | 24 |
| ბორდო | 14 | 7 | 3 | 4 | 21-18 | 24 |
| სტ. ეტიენი | 14 | 6 | 5 | 3 | 13-12 | 23 |
| რენი | 14 | 6 | 4 | 4 | 16-14 | 22 |
| მონაკო | 14 | 5 | 5 | 4 | 17-16 | 20 |
| მონპელიე | 14 | 6 | 2 | 6 | 13-13 | 20 |
| რეიმსი | 14 | 5 | 4 | 5 | 14-21 | 19 |
| ნიცა | 14 | 5 | 3 | 6 | 17-19 | 18 |
| მეცი | 14 | 5 | 3 | 6 | 15-18 | 18 |
| ტულუზა | 14 | 5 | 2 | 7 | 17-19 | 17 |
| ლილი | 13 | 4 | 4 | 5 | 9-12 | 16 |
| ბასტია | 14 | 3 | 5 | 6 | 11-17 | 14 |
| კაენი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-19 | 13 |
| ლორიანი | 14 | 4 | 1 | 9 | 11-17 | 13 |
| ევიანი | 13 | 4 | 1 | 8 | 12-22 | 13 |
| გენგამი | 14 | 4 | 0 | 10 | 10-25 | 12 |
| ლანსი | 14 | 3 | 2 | 9 | 12-18 | 11 |

# ახალი ფორმაციის ფეხბურთელის ნაადრევად დასრულებული კარიერა

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ რუსეთის ჩემპიონობის 10 წლის იუბილე აღნიშნა. „რკინიგზელებმა“ საჩემპიონო ტიტული 2004 წელს მოიპოვა და მაშინ გუნდში მალხაზ ასათიანიც იმყოფებოდა.

საიუბილეო დღეებზე ჩვენებურიც იყო მიწვეული და რუსულმა მედიამ მასზე საკმაოდ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა.

ჟურნალისტი ასათიანთან პირველ შეხვედრას იხსენებს:

— რუსეთის ნაკრებთან მატჩის წინ საქართველოს ნაკრებმა მატჩისწინა ღია ვარჯიში გამართა. ფეხბურთელები მოედანზევე აკეთებდნენ კომენტარებს. მეც გადავწყვიტე, ინტერვიუ მალხაზთან გამეკეთებინა. იმ მინდორზე გავიარე, სადაც ლეგენდარული ფეხბურთელები — მესხი, მეტრეველი, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია თამაშობდნენ. ასათიანთან მივედი და კომენტარის გაკეთება ვთხოვე. მაშინ მან რუსული კარგად არ იცოდა და ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მელაპარაკებოდა, მეორე დღეს კი ერთადერთი და გამარჯვების გოლი გაიტანა. თავიდან ასათიანი „ლოკომოტივში“ სათადარიგო შემადგენლობაში იყო, მაგრამ მალევე შეამჩნიეს და გუნდში შეუცვლელი ფეხბურთელიც გახდა.

მალხაზ ასათიანი: — სიმართლე გითხრათ, აღარც მახსოვდა, ეს წელი ჩვენთვის საიუბილეო თუ იყო. ამ დროს კი დიმა სენიკოვმა დამირეკა და მითხრა — იური პალიჩი ბიჭებს გვიხმობს. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. ბიჭები ძალიან დიდი ხანია, აღარ მენახა. დავსხედით, ვისაუბრეთ, ცოტაც დავლიეთ და ძველი დრო გავიხსენეთ.

მალხაზ ასათიანმა საფეხბურთო კარიერა ნაადრევად, 29 წლის ასაკში დაასრულა.

მალხაზ ასათიანი: — 2010 წელს „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი ამომეწურა. რუსეთის ჩემპიონატში მსურდა კარიერის გაგრძელება. შემოთავაზება მხოლოდ „ანჟიდან“ მქონდა. მაშინ „ანჟი“ ის კლუბი არ იყო, სადაც ფეხბურთელები „ჩელსიდან“ და „ინტერიდან“ გადადიოდნენ. მახაჭყალაში წასვლის სურვილი არ მქონდა. სხვა შემოთავაზებებს ველოდი და ასე გავიდა მთელი წელი. ქართული კლუბებიდანაც მქონდა წინადადებები, მაგრამ, ვფიქრობდი, სამშობლოში დაბრუნებას ყოველთვის შევძლებდი. 1-წლიანი შესვენების შემდეგ კი მივხვდი, რომ ფორმაში დაბრუნება და საკუთარ თავში ძალების პოვნას ვეღარ შევძლებდი და კარიერის დასრულება გადავწყვიტე. ყველაფერი უბრალოდ, უსტიმულოდ მოხდა. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ წონის შენარჩუნება მოვახერხე. თამაში ახლაც შემიძლია.

ასათიანს, ზოგიერთი მისი თანამემამულისგან განსხვავებით, ხინკალთან და ხაჭაპურთან პრობლემა არ ჰქონია და წონა შეინარჩუნა. ის თავს მცირე ბიზნესით ირჩენს, როგორც ამბობს, „ცოტ-ცოტას ყველაფერს აკეთებს“. სპორტში მისი ადგილი აღარ არის.

მალხაზ ასათიანი: — ახლა ქუთაისში ვცხოვრობ. ზოგიერთი ჩემი მეგობარი მწვრთნელი გახდა და მათთან დამხმარედ მეძახიან, მაგრამ ამას შესაბამისი განათლება უნდა.

კითხვაზე, როდის აპირებს დაქორწინებას? მალხაზმა შემდეგი უპასუხა — ამ მხრივ თავისუფალი აგენტი ვარ.

ასათიანზე ისაუბრა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილმა მწვრთნელმა იური სიომინმა და ახსნა, თუ რატომ დაასრულა მალხაზ ასათიანმა საფეხბურთო კარიერა ნაადრევად.

იური სიომინი: — მალხაზზე ძალიან იმოქმედა ტრავმამ — ჯვარედინი მყესების გაწყვეტამ. მას გამოჯანმრთელებისთვის დიდი დრო დასჭირდა, ხოლო შემდეგ მუხლისა და ჯანმრთელობის მიმართ შიში გაუჩნდა. რა თქმა უნდა, ასათიანს თამაში უფრო დიდ ხანს შეეძლო. მას ფეხბურთის განსაკუთრებული გაგება აქვს — ძალიან მაღალი. ნიჟეგოროდოვი დაცვაში საუცხოოდ თამაშობდა, მაგრამ შეტევებს არცთუ კარგად იწყებდა, ხოლო მალხაზს შეეძლო, წინ ბურთითაც წასულიყო, პასიც გაეკეთებინა და გოლიც გაეტანა. ის ახალი ფორმაციის ფეხბურთელი იყო. მასთან ერთად სხვა თამაშს ვაჩვენებდით — უფრო გახსნილს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## უფასო განცხადებები


● ქალბატონებო! დიდუბეში, სამტრედიის 50-ში, შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ნუ გადადებთ ზაფხულისთვის. ტელ: 235-15-96.

● ვარ ექიმი-მასაჟისტი. ვაკეთებ სამკურნალო (ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ბრტყელტერფიანობის, ინსულტის, მოტეხილობის შემდგომი პერიოდის) გამაჯანსაღებელ მასაჟებს. ტელ: 593-12-16-69 ლია.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების – სასმენი ნერვის ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტის, ყნოსვის დაქვეითების და დაკარგვის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ოტიტის, წითელი ქარისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში.თუ განკურნებისთვის მზად ხართ,დაგვიკავშირდით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმი ყველანაირი გართულების მოხსნით და ღვიძლის გაწმენდით, „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“. პრეპერატი შეგიძლიათ ფარულად საკვებში შეურიოთ,. თამბაქოს მწეველობის მიტოვება (ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან) ნეტუროპათიითა და ფიტოთერაპიით. გარანტირებულად უსაფრთხო მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 599-65-43-66; 557-14-22-36 ნინო ექიმი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი

● ვიმუშავებ ბუღალტრად. მაქვს სხვადასხვა დაწესებულებებში მთავარ ბუღალტრად 18 წლიანი მუშაობის გამოცდილება, ვმუშაობ ორისში, შემიძლია ყველანაირი საბუღალტრო ოპერაციის შესრულება. ტელ 557589936

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● მალამო „ლოლამალი“. მესამე ხარისხის დამწვრობების ტკივილგაყუჩებით უნაწიბუროდ, ასევე ჭრილობების, ნაწოლების მკურნალი. იკითხეთ თეიმურაზ ცისკარიშვილთან. ტელ: 577-73-73-91; აგრეთვე აფთიაქში ვაჟაზე 253-78-05.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახეზე და ტანზე, ასკარიდოზი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.


# ლიზა ბაგრატიონი კონცერტს გამართავს

ეკა ირემაშვილი



ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მომღერალი ლიზა ბაგრატიონი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს. 14 დეკემბერს დაგეგმილ კონცერტს ორგანიზატორებმა „ასე მგონია“ უწოდეს.

ლიზა ბაგრატიონთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ალტისტი გიორგი ცაგარელი, საქართველოს ფილარმონიული ორკესტრი მუსიკალური ხელმძღვანელის ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით, რომელიც ასევე საორკესტრო ვერსიების ავტორია. საღამოს სპეციალური სტუმარიც ჰყავს, აკორდეონისტი იტალიიდან მარიო სტეფანო პიეტროდარკი.

ლიზა ბაგრატიონი მონატრებული მსმენელისთვის თავისი რეპერტუარიდან გამორჩეულ სიმღერებს ახლებური ინტერპრეტაციით იმღერებს. უკვე წლებია მომღერალი ქართველი მსმენელის წინაშე ასეთი გრანდიოზული კონცერტით არ წარმდგარა. ლიზა ყოველთვის აღნიშნავდა, რომ იყო პერიოდი, როცა მას არავინ ეძახდა კონცერტებზე, თუმცა ის მაინც ყოველთვის მღეროდა და იმისაც სჯეროდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ლიზა ბაგრატიონი თავის ერთგულ მსმენელს ისევ შეკრებდა კონცერტზე და ეს დღეც დადგა:

„ გარკვეული პაუზის შემდეგ, კვლავ შევხვდები ჩემს მსმენელს. კონცერტი ახლებური და გამორჩეულია. ჩემს კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ნიკოლოზ რაჭველი, მუსიკალური ხელმძღვანელი და საორკესტრო ვერსიების ავტორი, საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და სოლისტი ალტისტი გიორგი ცაგარელი. ჩვენ გვყავს ასევე სპეციალური სტუმარი იტალიიდან აკორდეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარკი. ვიზუალური გაფორმება დათო მაჭავარიანს იგივე კაკადუს ეკუთვნის, რომელიც როგორც ბევრმა თქვენთაგანმა უკვე იცის, ბოლო გამოცემა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ავტორია. კონცერტს წარმოადგენს კომპანია „ბადაგონი“. ჩემი და ნიკოლოზ რაჭველის მიერ ბალტიის ქვეყნებსა და უკრაინაში წარმოდგენილ პროექტებს, ახლა უკვე ახალი პროგრამით იხილავს ქართველი მსმენელი 14 დეკემბერს თბილისში“.

# კულტურის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გაიმართება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია 4 დეკემბერს გაიმართება. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, კულტურის სამინისტროსთან ყავის სმას გამართავენ, რადგან, მათი აზრით, ეს უწყება რეალურად მხოლოდ ყავის სმითა და ჭორაობით არის დაკავებული და საქმეს არ აკეთებს:

„4 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ყავის სმა კულტურის სამინისტროსთან – საპროტესტო „სოლიდარობის“ აქცია გაიმართება. ყავის სმა უსაქმურობასთან, ჭორაობასთან ასოცირდება. ყავას ადამიანი სვამს მაშინ, როდესაც განტვირთვა ან ვინმესთან საუბარი სურს, ან, უბრალოდ, საქმე არ აქვს. ყავის დალევა სამინისტროში პრობლემისა და საქმის არარსებობაზე მიანიშნებს. ეს არის კულტურის სამინისტროს ახალი პოლიტიკა, რომელიც მუდმივად დაკავებულია და საზოგადოებისთვის არ სცალია. აქცია მიმართულია სამინისტროს ინერტულობის წინააღმდეგ, რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული მკაფიო ხედვა კულტურის პოლიტიკასთან დაკავშირებით და დაკავებულია ყავის სმით“.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კულტურის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია იმართება. საზოგადოების მიერ მიჩნეულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროს ინერტული პოზიციის დაფიქსირებისას, აქტივისტები ყოველთვის იკრიბებიან ამ უწყებასთან და ხან საპნის ბუშტების აქციას აწყობენ და ხანაც ყავის სმის ინტერპრეტაციას ახდენენ.

ეკა ირემაშვილი

# ელენე გლურჯიძე ბალეტიდან მიდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და განუმეორებელი კაბა, რომელშიც ცეკვის უფლება მხოლოდ ქართველ ბალერინას აქვს. კაბა ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია: მასზე „შანელის“ სახლის სამი თანამშრომელი 100 საათის მანძილზე მუშაობდა. უმსუბუქესი გედის ბუმბულით, ხელით შექმნილ კაბაზე ელენე ემოციის გარეშე ახლაც ვერ საუბრობს:

„კოსტიუმი ბალერინას სხეულის ნაწილი ხდება ცეკვის დროს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რა გაცვია. ასე რომ, ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. როცა პარიზში გავემგზავრე კარლ ლაგერფელდთან შესახვედრად, ძალიან ვღელავდი, არ ვიცოდი, როგორი იქნებოდა ეს შეხვედრა. ჩავიცვი ეს საოცარი კაბა და ვიცეკვე კარლისთვის“.

ამჯერად ელენე გლურჯიძე იმ დასიდან მიდის, სადაც თავისი შემოქმედებითი კარიერის უმნიშვნელოვანესი პერიოდი გაატარა:

„ინგლისის ნაციონალურ ბალეტში ჩემი პროფესიული კარიერის 12 წელი გავატარე და ამისთვის ყველა თანამშრომელს მადლობას ვუხდი, რეჟისორით დაწყებული, დამლაგებლით დამთავრებული. მათ ყველანაირი კომფორტი შემიქმნეს იმისთვის, რომ მაქსიმალურად მემუშავა. ამ საბალეტო დასიდან სიამაყის გრძნობით მივდივარ. აუცილებლად ვრჩები ხელოვნებაში და სიცოცხლის ბოლომდე მის სამსახურში ვიქნები. მაყურებელი ის საჩუქარია, რომლისთვისაც ვშრომობთ, ვქმნით, ვასრულებთ, ის კი გვიყურებს, გვაფასებს, გვაკრიტიკებს და გვაბედნიერებს“.

ინგლისის ნაციონალური ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის თქმით, ელენე გლურჯიძე მათ დასში წამყვანი მოცეკვავეა და საწყენია, რომ მიდის: „მაგრამ, რას ვიზამთ, ეს მისი გადაწყვეტილებაა და ვალდებული ვართ, მას პატივი ვცეთ. მთელი ჩვენი დასი წარმატებას უსურვებს ელენეს თავის სამომავლო საქმიანობაში“.

როგორც ელენე გლურჯიძემ განაცხადა, მისი გამოსამშვიდობებელი გამოსვლა ინგლისის ნაციონალურ საბალეტო დასთან ერთად ლონდონის კოლიზეუმში 2015 წლის 18 იანვარს გაიმართება. ქართველი მოცეკვავე მონაწილეობას მიიღებს სპექტაკლში „გედების ტბა“ და ოდეტას პარტიას შეასრულებს.

# თოჯინების თეატრის პრობლემებს კომისია შეისწავლის

ეკა ირემაშვილი

გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრის პრობლემებს სპეციალური უწყებათაშორისი კომისია შეისწავლის, რომელიც კულტურის სამინისტროში იქმნება. ამის შესახებ განცხადება კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ გააკეთა, რომელიც თეატრს ეწვია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე თოჯინების თეატრს აღმაშენებლის გამზირზე დროებით შეხიზნულ ფართში ესტუმრა. მინისტრი თეატრის კოლექტივს შეხვდა, დასის რეპეტიციას დაესწრო და ადგილზე გაეცნო მათ პრობლემებს. გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი უკვე 4 წელია, შენობის გარეშეა დარჩენილი. თეატრის ფასადი აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის ფარგლებში გარემონტდა, მაგრამ შენობა შიგნიდან დანგრეულია. დღეისათვის თოჯინების თეატრი მეტრო „მარჯანიშვილის“ უკან მდებარე ერთ-ერთი შენობის მეხუთე სართულზეა განთავსებული, სადაც 9 ოთახი აქვთ დათმობილი. თეატრს ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო პირობები არ გააჩნია.

თოჯინების თეატრის შენობა აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციას ემსხვერპლა. მართალია, თეატრის ფასადი აღმაშენებლის გამზირზე ნამდვილად რეაბილიტირებულია, თუმცა შენობა შიგნიდან მთლიანად დანგრეულია. 4 წლის წინ, როდესაც „თბილისის განვითარების ფონდმა“ აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაცია დაიწყო, თოჯინების თეატრმა აღმაშენებლის №103-ში მდებარე შენობა დაცალა. შენობის დაცლასთან დაკავშირებით კი თეატრის ადმინისტრაციას თავის დროზე მერიის წარმომადგენლებთან არანაირი წერილობითი ხელშეკრულება არ გაუფორმებია:

„ხშირად დადიოდნენ არქიტექტორები და მერიის წარმომადგენლები. თეატრის ადმინისტრაცია მოხარული იყო, რომ შენობას არემონტებდნენ, რადგან სცენა საშინელ მდგომარეობაში იყო და გადაუდებელი რეაბილიტაცია სჭირდებოდა. დღეს მხოლოდ გარე ფასადია გარემონტებული, შიგნით კი შავი კარკასიც არ არის, სადაც რეპეტიციებს ჩავატარებდით“.

თბილისის მერიაში განმარტავენ, რომ აღნიშნული შენობა 2012 წლის 4 აპრილიდან „თბილისის განვითარების ფონდიდან“ მერიის საკუთრებაში გადავიდა. თავის მხრივ, მერიას მხოლოდ გარე ფასადის გაკეთება ევალებოდა, რაც შესრულებულია და თეატრის ფასადი მოწესრიგებულია.

თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ელენე მაცხონაშვილმა თბილისის მერიას უკვე მიმართა შენობის საკითხთან დაკავშირებით, რაზეც უპასუხეს, რომ შენობის გარემონტებაზე ზრუნვა კულტურის სამინისტროს კომპეტენციაა. კულტურის სამინისტრომ აღნიშნა, რომ აღმაშენებლის №103-ში მდებარე შენობის გარემონტება, იმის მიუხედავად, რომ იქ წლების მანძილზე თოჯინების თეატრი მუშაობდა, მათ კომპეტენციაში არ შედის. აღნიშნულ შენობას ძეგლის სტატუსი არ გააჩნია და, შესაბამისად, მის რეკონსტრუქციაზე თბილისის მერიაა პასუხისმგებელი.

დღესდღეობით თოჯინების თეატრი მეტრო „მარჯანიშვილის“ უკან მდებარე საპროექტოს შენობაშია განლაგებული. იქ რეპეტიციები 22 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე ოთახში მიმდინარეობს და სივიწროვის გამო მსახიობებს სცენაზე ასვლა საკუთარი როლის შესასრულებლად რიგრიგობით უწევთ.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ელენე მაცხონაშვილის თქმით, მათთვის ყველაზე პრობლემური სპეციალური სარეპეტიციო ოთახისა და დარბაზის უქონლობაა:

„სარეპეტიციო ოთახში, სადაც სცენა საკუთარი ძალებით მოვაწყვეთ, არათუ თოჯინები და საჭირო ინვენტარი, ათიოდე ადამიანი ძლივს ეტევა. წარმოდგენების ჩასატარებლად დარბაზი საერთოდ არ გვაქვს“.

წარმოდგენების გასამართად თოჯინების თეატრი მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზის“ დარბაზს ქირაობს, სადაც თითო წარმოდგენის საფასურს, ორას ლარს იხდის. სამხატვრო ხელმძღვანელი ამბობს, რომ თეატრს ეს ხარჯი მძიმე ტვირთად აწევს და სადადგმო ხარჯებისთვის თანხა არ რჩება. მიუხედავად ამისა, თეატრი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ ყველაფერი უკეთესად იქნება. ამჟამად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ელენე მაცხონაშვილი ახალ სპექტაკლზე მუშაობს და მალე პატარა მაყურებელს პრემიერასაც შესთავაზებს.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ მიხეილ გიორგაძის თქმით, მსგავსი პრობლემების მოგვარების მიზნით სამინისტროში იქმნება უწყებათაშორისი კომისია, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს მისი უწყების დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების შენობა-ნაგებობების მდგომარეობას და საკითხის გადასაწყვეტად კონკრეტულ გეგმასაც შეიმუშავებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა


მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა ...

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა

## ორშაბათი 1 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 14.20 დ/ფ "ჰაბლი 3" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ლოს-ანჯელესის პოლიცია**" 17.00 "ქართული ჯვარი" 17.30 დ/ფ "ლეონარდო და ვინჩი" 18.30 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 19.30 "სიტყვების თამაში" I გადაცემა 22.00 "არენა" 23.30 მხ/ფ "**უხილავი მხარე**" 02.10 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 02.50 "სამოთხის ვაშლები"

08.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 09.00 მხ/ფ "**მზე სულში**" 10.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "დიდი ბრიტანეთი" 11.00 დ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" 12.00 მხ/ფ "**ბიჭუნა წყალზე**" 13.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "კარიბის კუნძულები" 14.00 დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" 15.00, 17.00. 21.00, 22.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა. 10.05 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 11.20 სერ. "**სილა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**უდანაშაულო**" 17.35 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 20.55 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 22.00 მხ/ფ "**ზღვარზე**" (მ.გონსალესი) 00.10 მხ/ფ "**პარანოია**"

06.30 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ბედთან მებრძოლი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქარადაი**" 22.00 ნიჭიერი 00.30 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

07.30 GDS დილა 10.00 ჯიდიპედია 11.00, 18.00 **სერ. "მენტალისტი"**. 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 დ/სერ."აირჩიე კაბა" სეზონი 14.30 დ/სერ. "ფოტო გარეკანისთვის" 15.00 **სერ. "პანიკის გარეშე"**. 16.00 სტილის სამყარო 17.00 დ/ფ 19.00 პეპლის ეფექტი 19.45, 21.45 მინიპედია 20.00 დ/სერ."მონუმენტური ხედვა" 20.35 URBAN STORIES 21.00 **სერ. "პანიკის გარეშე"**. 22.00, 01.15 მხ/ფ 00.15 ჯიდიპედია

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 ეთნოგრაფიული ჩანახატი 06.55 მხ/ფ "**რეკორდი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**ჩვენი ეზო**" 13.30 კონცერტი - სტეფან გრაპელი 15.05 კარაბადინი 15.30 სპექტაკლი "**კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა**" 16.35 დ/ფ "ფუტკრის დუმილი" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.25 პატერიკი 21.30 ღვთის სახლი 21.45 დ/ფ "წმინდა იოანე ჭყონდიდელი" 22.25 დ/ფ "ქეთევან ნუცუბიძე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "13 ასურელი წმინდა მამის ნამოღვაწარი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" I ნაწ. 02.10 ნიამორი

**მაესტრო**

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**დრაკონებზე მონადირე**" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნეს კონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 16.00 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"** 17.40, 22.00, 1.50 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუჩები და ბუნები"** 23.30 **სერიალი "მდუმარენი"** 2.10 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 მხ. ფილმი "**მფრინავი რაზმი**"

## სამშაბათი 2 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 14.20 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ლოს-ანჯელესის პოლიცია**" 17.00 დ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" 18.00 "ტელებლოგი" 18.30 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 9.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 მხ/ფ "**მაგარი პოლიციელები**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00. 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "ევროპის შუაგულში" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა. 10.05 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 11.20 სერ. "**სილა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**უდანაშაულო**" 17.35 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 20.55 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 მხ/ფ "**ოქროს ყვავილის წყევლა**" (ჯ.ჩოუ) 02.20 მხ/ფ "**ზღვარზე**" (მ.გონსალესი)

06.30 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ბედთან მებრძოლი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 23.30 გააცინე და მოიგე 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

07.30 GDS დილა 10.00 პეპლის ეფექტი 10.45, 15.45, 19.45, 21.45 მინიპედია 11.00, 18.00 **სერ. "მენტალისტი"**. 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 დ/სერ "აირჩიე კაბა" 14.30 დ/სერ "ფოტო გარეკანისთვის" 15.00 **სერ. "პანიკის გარეშე"**. 16.00 სტილის სამყარო 17.00 დ/ფ 19.00 კიბერჰაუსი 20.00 დ/სერ "მონუმენტური ხედვა" 20.30 URBANSTORIES 21.00 **სერ. "პანიკის გარეშე"**. 22.00, 00.45 მხ/ფ 00.00 პეპლის ეფექტი

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "წმინდა მიქაელ გობრონი" 10.50 პატერიკი 10.55 დ/ფ "13 ასურელი წმინდა მამის ნამოღვაწარი" 11.35 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" I ნაწ. 13.20 კონცერტი - თეატრალურის კვარტეტი 15.05 კარაბადინი 15.30 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 15.50 მხ/ფ "**20 000 ლიე წყალქვეშ**" I ნაწ. 17.20 დ/ფ"სათავეებთან" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მოკ./ფ "**მჭედელი**" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 "ჩვენი ამბავი" 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჩვენი საგანძური" - პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი (ნ.ბურჭულაძე) . გვანცელაძე 23.30 დ/ფ "ღირსი მამა ილარიონ ქართველი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" II ნაწ. 01.20 ნიამორი

**მაესტრო**

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**დრაკონებზე მონადირე**" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნეს კონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 16.00 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"** 17.40, 22.00, 1.50 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუჩები და ბუნები"** 23.30 **სერიალი "მდუმარენი"** 2.10 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 მხ. ფილმი "**მაღალი ხელოვნება**"

## ოთხშაბათი 3 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 14.20 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ლოს-ანჯელესის პოლიცია**" 17.00 დ/ფ "იაოს წელიწადი" 18.30 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 მხ/ფ "**ახალი სამყარო**" 01.40 მხ/ფ "**ნახევრად პროფესიონალი**"

08.00, 10.00, 12.00,15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45 ქრონიკა. 10.05 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 11.20 სერ. "**სილა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**უდანაშაულო**" 17.35 სერ. "**ბოშა ქალი**" 1 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 20.55 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 EMERGENCY 00.55 მხ/ფ "**სიყვარულის დღესასწაული**" (ს.ბლერი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ბედთან მებრძოლი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქარადაი**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 "ნანუკას შოუ" 00.30 კიმონო 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

07.30 GDS დილა 10.00 კიბერჰაუსი 10.45, 15.45, 19.45, 21.45 მინიპედია 11.00, 18.00 **სერ. "მენტალისტი"**. 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 დ/სერ."აირჩიე კაბა" 14.30 დ/სერ."ფოტო გარეკანისთვის" 15.00 **სერ. "პანიკის გარეშე"**. 16.00 სტილის სამყარო 17.00 დ/ფ 18.00 **სერ. "მენტალისტი"**. 19.00, 20.30 URBAN STORIES 20.00 დ/სერ."მონუმენტური ხედვა" 21.00 **სერ. "პანიკის გარეშე"**. 22.00 მუსიკალური შოუ "ერთი ერთში" 00.30, 02.50 მხ/ფ 02.05 კიბერჰაუსი

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 თეთრიდან თეთრამდე 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 მოკ./ფ "**მჭედელი**" 13.30 კონცერტი - სესილია ბარტოლი 14.45 "ჩვენი ამბავი" 15.05 კარაბადინი 15.25 მხ/ფ "**20 000 ლიე წყალქვეშ**" II ნაწ. 16.50 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ჩვენი ფეხბურთი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" III ნაწ. 01.15 ნიამორი

**მაესტრო**

7.00, 2.00, ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**დრაკონებზე მონადირე**" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნეს კონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 უცნობი ისტორიები 16.00 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"** 17.40, 22.30, 2.20 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.00 მაესტრო 18.00 (ახალი ამბები) 18.40 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.45 **სერიალი "ქუჩები და ბუნები"** 23.55 ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) 0.00 **სერიალი "მდუმარენი"** 2.40 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 3.30 მხ. ფილმი "**ლიდერი**"

## ხუთშაბათი 4 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 14.20 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ლოს-ანჯელესის პოლიცია**" 17.00 "ეს საქართველოა" 17.30 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" 18.30 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ "**ხულიას თვალები**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00. 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "ევროპა XX დამალული ეპიდემია" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45 ქრონიკა. 10.05 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 11.20 სერ. "**სილა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**უდანაშაულო**" 17.35 სერ. "**ბოშა ქალი**" 2 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 20.55 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 23.45 შალვა რამიშვილის შოუ 00.55 მხ/ფ "**გონიერების ასაკი**" (ს.მარსო)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ბედთან მებრძოლი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქარადაი**" 22.00 პროფილი 23.55 აჭარა ბეთის გათამაშება 00.30 ვინ დაამარცხებს ვასოს 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

07.30 GDS დილა 10.00, 20.30, 00.30 URBAN STORIES 10.45, 15.45, 19.45, 21.45 მინიპედია 11.00, 18.00 **სერ. "მენტალისტი"**. 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 დ/ფ 15.00 **სერ. "პანიკის გარეშე"**. 16.00 სტილის სამყარო 17.00 დ/ფ 18.00 **სერ. "მენტალისტი"**. 19.00 9 კარი 20.00 დ/სერ."მონუმენტური ხედვა" 21.00 **სერ. "პანიკის გარეშე"**. 22.00, 01.15 მხ/ფ

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.50 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" III ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 "ჩვენი საგანძური" - პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი (ნ.ბურჭულაძე) . გვანცელაძე 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" II ნაწ. 13.35 ივერიის ეკლესია 13.50 კონცერტი - ეკა მამალაძე 15.05 კარაბადინი 15.30 მხ/ფ "**იავნანა**" 17.20 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 "პორტრეტები" 20.05 ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება (რ. ძნელაძე) 20.10 მოკ./ფ "**პიესა ოთხი ხელისთვის**" 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.40 ტაძრად მიყვანება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მარადქალწულისა მარიამისა(სალვთისმ. ჯგ) 22.25 საუფლონი "ყოვლადწმინდა კიდობანი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "დედა ღვთისმშობელი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" IV ნაწ. 01.15 ნიამორი

**მაესტრო**

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**დრაკონებზე მონადირე**" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნეს კონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.40, 22.00, 1.50 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "ნარჩიტა"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუჩები და ბუნები"** 23.30 **სერიალი "მდუმარენი"** 2.10 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 მხ. ფილმი "**დომინოს პრინციპი**"

## პარასკევი 5 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 14.20 დ/ფ "ზღვის სიღრმეში" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ლოს-ანჯელესის პოლიცია**" 17.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 18.30 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ 23.30 მხ/ფ "**დაუმორჩილებელი**" (მ.დეიმონი) 01.40 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 "ბრიფინგის დრო" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა. 10.05 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 11.20 სერ. "**სილა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**უდანაშაულო**" 17.35 სერ. "**ბოშა ქალი**" 3 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 20.55 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 22.00 რეაქცია 00.00 მხ/ფ "**მეფე არტური**" (ტ.შვაიგერი) 02.20 მხ/ფ "**გონიერების ასაკი**" (ს.მარსო)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ბედთან მებ-რძოლი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქქრის უბანი 23.30 ბრავო 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

07.30 GDS დილა 10.00 9 კარი 10.45, 15.45 მინიპედია 11.00, 18.00 **სერ. "მენტალისტი"**. 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00, 17.00 დ/ფ 15.00 **სერ. "პანიკის გარეშე"**. 16.00 სტილის სამყარო 19.00 კინოვაცია 20.00 მონუმენტური ხედვა 20.30 URBAN STORIES 21.00 **სერ. "პანიკის გარეშე"**. 22.00, 00.45 მხ/ფ 00.00 9 კარი

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" IV ნაწ. 07.50 "ჩვენი ამბავი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 საუფლონი "ყოვლადწმინდა კიდობანი" 10.05 ღვთის სახლი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 14.00 მოკ./ფ "**პიესა ოთხი ხელისთვის**" 13.30 კონცერტი -ანს. "**შვიდკაცა**" 15.05 კარაბადინი 15.30 მხ/ფ "**რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე**" 17.00 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "წმინდა დიდმოწამე დიმიტრი ყიფიანი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" V ნაწ. 01.15 ნიამორი

**მაესტრო**

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**დრაკონებზე მონადირე**" 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნეს კონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "ID" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.40, 22.00, 1.50 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუჩები და ბუნები"** 23.30 **სერიალი "მდუმარენი"** 2.10 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 მხ. ფილმი "**მკვლელობების განყოფილება**"

## შაბათი 6 დეკემბერი

08.00 ან/ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" 09.00 მხ/ფ "**ბავშვები უყურადღებოდ**" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – "**მარია კალასი**" 14.00 მხ/ფ "**დიასახლისი**" 16.30 ქართ. მხ/ფ "**ცხელი ზაფხულის სამი დღე**" 18.00 დ/ფ "ჩაცმის თავისუფლება" 19.00 "ეტალონი" 21.00 ტ/სერ. "**ლოს-ანჯელესის პოლიცია**" 22.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ "**მედისონის ოლქის ხიდები**" (მ.სტრიპი) 02.10 "ეტალონი"

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 დ/ფ "აშენე უფრო დიდი" 13.00 მხ/ფ "**და მოვა სიყვარული**" 14.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ინდოეთი" 15.00 დ/ფ "აშენე უფრო დიდი" 17.00 "უნივერსიტეტი" 18.00 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" – აფრიკა 19.00 "ეპიცენტრი" 20.00 მხ/ფ "**ყოფილი შეყვარებულების აჩრდილები**" (მ.მაკონახი) 22.10 ტ/სერ. "**ჩრდილში მდგომნი**" 23.00 მხ/ფ "**ძალაუფლება**"

07.30 ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" 08.00 მხ/ფ "**სანელებლების პრინცესა**" 10.15 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 ვაკანსია 12.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 3 სერ. 13.00 კულინარიული დუელი 14.40 სერ. "**უდანაშაულო**" 17.35 სერ. "**ბოშა ქალი**" 4 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 20.55 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 21.45 გათამაშება – ტექნო ბუმი 22.00, 23.00, 00.00 სერ. "**შუა ქალაქში 5**" 01.00 მხ/ფ "**ლომის გული**"

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 ვინ დაამარცხებს ვასოს 15.30 ნიჭიერი 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 22.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.30 რა? სად? როდის? 01.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 03.30 მხ/ფ.

07.30 მუსიკა 09.00 ან. სერ. "თინეიჯერი ტიტანები" 10.00 დ/სერ."აირჩიე კაბა" 10.30 დ/სერ."ფოტო გარეკანისთვის" 11.00, 18.00 **სერ. "მენტალისტი"**. 12.00 მუსიკალური შოუ "ერთი ერთში" 14.30 დ/ფ 15.00, 19.00, 23.15, 02.30 მხ/ფ 17.00 დ/სერ."საუკეთესო ტორტი" 20.45 მინიპედია 21.00 ბინა 18 22.00 **სერ. "ტიფლისი"**. 01.30 კინოვაცია

06.10 საგალობელი 06.15 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" V ნაწ. 07.30 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი საგანძური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართულ მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.10 მხ/ფ 13.35 დ/ფ "არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე" 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - "**სიყვარულის ელექსირი**" 16.50 დ/ფ "სიაუშ ქართველი" 18.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 ევრომასტერი 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 "ჩვენი ამბავი" 22.30 კვირიაკეს სიუჟეტი-გრიგოლ ფერაძე 22.45 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჟურნალისტის დღიური" - ახალმოწამე (გრიგოლ ფერაძე) 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" VI ნაწ.

**მაესტრო**

7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**მაგიის რაინდები**" 9.00 **სერიალი "ასი"** 10.00 NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია 10.30 "პულსი" 11.00 ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა 11.50, 14.50, 18.35 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 13.05 სერიალი "10 წლის შემდეგ" 15.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.00 ოთარ ტატიშვილის შოუ 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 20.30 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 21.00 თოქ-შოუ სუბიექტური აზრი 22.00 **სერიალი "1 ნაბიჯი"** 23.00 გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" 0.00 **სერიალი "მდუმარენი"** 2.20 მხ. ფილმი "**დავიღალე შენგან**" (ტიტ.)

## კვირა 7 დეკემბერი

08.00 მხ/ფ "ჰარი პოტერი და ნახევარსისხლა პრინცი" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ვაშინგტონი დღეს" 13.00 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 13.30 "გურმანია" 14.00 **ფეხბურთი. "ტორპედო" – "მეტალურგი"** 16.30 ქართ მხ/ფ "**თუში მეცხვარე**" 20.00 "ტელებლოგი" 21.00 ქართ მხ/ფ "**კონფლიქტის ზონა**" 22.30 მხ/ფ "**მას სიკვდილი უხდება**" 00.20 მხ/ფ "**ჯუდის ქიციანი**" 02.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში"

08.00 დ/ფ "აშენე უფრო დიდი" 10.00 მხ/ფ "**ტყუპები**" 12.00 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" აფრიკა 13.00 მხ/ფ "**მამაკაცები არ მიდიან**" 15.00 მხ/ფ "**სასახლის არომატები**" 16.35 მხ/ფ "**ემიგრანტები**" 19.00 დ/ფ "ჰოლივუდი" 20.00 მხ/ფ "**შორს**" 22.15 ტ/სერ. "**ჩრდილში მდგომნი**" 23.00 მხ/ფ "**მოულოდნელი ორსულობა**"

07.30 მხ/ფ "**ორმოები**" 10.00 სტუმრად იუმორინასთან 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 4 სერ. 13.00 EMERGENCY 14.35 იმედის გმირები 15.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 17.35 ცეკვავენ ვარსკვლავები 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ქ/სერ. "**ფსიქოპათთა თამაშები**" 6 სერ. 00.00 მხ/ფ "**ფედერალური დაცვა**" (ა.ასანტე) 01.40 მხ/ფ "**ლომის გული**"

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.30 "სახლი" 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქქრის უბანი 16.00 ბრავო 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 22.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.30 სოციალური ცელი 01.00, 03.30 მხ/ფ.

07.30 მუსიკა 09.00 ან. სერ. "თინეიჯერი ტიტანები" 10.00 დ/სერ."აირჩიე კაბა" 10.30 დ/სერ."ფოტო გარეკანისთვის" 11.00, 18.00 **სერ. "მენტალისტი"**. 12.00, 15.00, 19.00, 23.15, 01.45 მხ/ფ 14.00 სტილის სამყარო 14.30 დ/ფ 16.45, 20.45 მინიპედია 17.00, 22.00 **სერ. "ტიფლისი"**. 21.00 ჯიდიპედია

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.55 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11.25 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ "**ბედურების გადაფრენა**" 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ევრომასტერი 16.05 ერთსულოვნების სალონი 17.00 ეპოქის სახელები 17.25 დ/ფ "ჩვენი ფეხბურთი" 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 "ჩვენი ამბავი" 19.30 მხ/ფ "**შერეკილები**" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" VII ნაწ.

**მაესტრო**

7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "**მაგიის რაინდები**" 9.00 **სერიალი "ასი"** 10.00 NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია 10.30 "პულსი" 11.00 "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება 11.30 უცნობი ისტორიები 11.55, 14.50, 17.50 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00, 21.00 (ახალი ამბები) 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა "იდ" 13.05 მხ. ფილმი "**ხევისბერი გოჩა**" 15.30 "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.00 გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" 18.30 დოკ. სერ. "ქალაქი და ადამიანი" 19.00 **სერიალი "სხვისი სხეული"** 20.00 გადაცემა "ფული და სურვილები" 20.30 "აზების/ კვირის ანეკდოტები 21.30 **სერიალი "10 წლის შემდეგ"** 23.00 ოთარ ტატიშვილის შოუ 0.00 **სერიალი "მდუმარენი"** 2.20 მხ. ფილმი "**ნიუ-იორკის მეფე**"

გჰჯუჰფვტ,ბ ბ,ტჩზლტ,ფ ცფფუტყნჯ ჳბყაჯბფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# კალეიდოსკოპი



## მაჯის საათებს ნაპოლეონის თმის ღერებით გამოუშვებენ



— შვეიცარიული კომპანია „დე ვიტი“ ნაპოლეონის თმის ღერებით დამშვენებულ მაჯის საათებს გამოუშვებს, — იტყობინება ფრანს-პრესის სააგენტო. მათი ფასი დაახლოებით 8 ათასი ევრო იქნება, სულ 500 ცალი დამზადდება და ყოველ მათგანში საფრანგეთის იმპერატორის 0,5 მილიმეტრი სიგრძის თმის ღერი იქნება ჩადებული.

— ნაპოლეონს ჯერ კიდევ სიცოცხლეში აღმერთებდნენ. როდესაც თმებს იჭრიდა, ხალხი აგროვებდა და ინახავდა, — განაცხადა შვეიცარიული კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ვივიან დე ვიტმა.

საათებისთვის ნაპოლეონის თმები ფირმამ მიმდინარე წლის ნოემბრის შუა რიცხვებში პარიზში გამართულ აუქციონზე 29,6 ათას ევროდ შეიძინა. მანამდე ისინი მონაკოს სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა.

კომპანიის ვებგვერდზე საათების აღწერილობაში მითითებულია, რომ მისი დამფუძნებელი ჯერომი დე ვიტი ვესტფალიის მეფის ჯერომ ნაპოლეონის, საფრანგეთის იმპერატორის უმცროსი ძმის პირდაპირი შთამომავალია.

კომპანია „დე ვიტიში“ 60 ადამიანი მუშაობს. ყოველწლიურად ფირმა დაახლოებით ათას ხუთას მაჯის საათს უშვებს.

## სტანისლავ მიკულსკი გარდაიცვალა



27 ნოემბერს ვარშავის საავადმყოფოში ცნობილი პოლონელი მსახიობი სტანისლავ მიკულსკი 86 წლის ასაკში გარდაიცვალა, — ამის შესახებ ინფორმაციას მსახიობის ბიოგრაფი კშიშტოფ გენჩელევსკი ავრცელებს.

„27 ნომბერს, 05:15 საათზე გარდაიცვალა სტანისლავ მიკულსკი. პოლონური კინოს ხატი, შეუდარებელი ჰანს კლოსი სერიალიდან „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“, — წერს გენჩელევსკი.

მიკულსკის კინოკარიერა საკმაოდ ნაყოფიერი გახლდათ და 1950-2012 წლებში 49 კინოფილმში ითამაშა. ფილმები მიკულსკის მონაწილეობით ყოფილი საბჭოთა კავშირის ტელე თუ კინოეკრანებზე ხშირად გადიოდა, რადგან მსახიობი საბჭოთა ფილმებშიც ხშირად მონაწილეობდა.

ქართველი ტელემაყურებლებისთვის განსაკუთრებით ცნობილია 1967-1968 წლებში შექმნილი მრავალსერიანი ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“, რომელშიც მიკულსკიმ კაპიტან ჰანს კლოსის როლი შეასრულა.

ათბნიუსი

## ფილიპინელმა ერთი წლის წინ დაკარგული ძაღლი იპოვა



ფილიპინების ქალაქ ტაკლობანის მცხოვრებმა ქალმა თავისი ძაღლი მისი გაუჩინარებიდან ერთი წლის შემდეგ იპოვა. შინაური ცხოველი მძლავრი ტაიფუნის ,,ხაიანის“ დროს დაიკარგა, რომელიც ქვეყანას თავს 2013 წლის ნოემბერში დაატყდა.

დაკარგულ ძაღლს სახელად ბუნუ ქალაქის ცენტრში ერთ-ერთი ნაგვის ბუნკერის მახლობლად მიაგნეს, სადაც ის საკვებს ეძებდა.

— ჩვენ ჭუჭყიანი უპატრონო ძაღლი შევნიშნეთ, რომელიც ჩემს დაკარგულ ძაღლს ჰგავდა, მე მას სახელი დავუძახე და ის გამომეხმაურა, — განაცხადა ცხოველის პატრონმა ეილინ მეტრანმა.

მეტრანების ოჯახმა ტაიფუნისგან თავის გადასარჩენად საკუთარი სახლი გასული წლის ნოემბრის დასაწყისში დატოვეს. სახლში სამი ძაღლი დარჩა. ისინი ორი დღის შემდეგ დაბრუნდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამიდან ორი დაიხრჩო. ამის შემდეგ მათ ახლობლებს სთხოვეს, ყურადღება მიექციათ მათი გადარჩენილი ძაღლისთვის, თავად კი ქალაქი დატოვეს. მორიგი ქარიშხლის შემდეგ ცხოველი დაიკარგა.

ტაიფუნი ,,ხაიანი“ ფილიპინების კუნძულებს თავს გასული წლის 8 ნოემბერს დაატყდა. ის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ქარიშხალი იყო. ქარის მაქსიმალური სიჩქარე საათში 314 კილომეტრს აღწევდა, ხოლო ტალღების სიმაღლე შვიდ მეტრს აჭარბებდა. სტიქიური უბედურების შედეგად დაახლოებით 7350 ადამიანი დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

## ბელგიის სამეფო ოჯახს ბიუჯეტი შეუმცირეს

ბელგიის სამეფო ოჯახის შენახვა 2015 წელს ქვეყნის ბიუჯეტს 36 მილიონი ევრო დაუჯდება. მიმდინარე წლის ხარჯებთან შედარებით ხელისუფლებამ 2,7 მილიონი ევროს ეკონომია გააკეთა. ისევე, როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, ხარჯების დიდი ნაწილი ფედერალურ პოლიციაზე მოდის. სამეფო ოჯახის უსაფრთხოების დაცვა 15,5 მილიონი ევრო დაჯდება. გარდა ამისა, 13,8 მილიონი ევროა გამოყოფილი მონარქის ოჯახის წევრების დოტაციისთვის.

ადრე სამეფო ოჯახის ხარჯებს ბელგიელი ფინანსისტები კონსოლიდირებულად არ აფასებდნენ. პირველად ცალკე თავად სამეფო ოჯახის ხარჯები 2013 წლის ოქტომბერში გამოიყო, რაც განპირობებული იყო სახელმწიფო ხარჯების ეკონომიით. მოცემულ გრაფაში შესულია ხარჯები, რომლებიც ექვს ფედერალურ უწყებას შეეხება, ხოლო პირადი დოტაციები გადაფასდა.



2013 წლის 21 ივლისს ბელგიის მეფე გახდა 54 წლის ფილიპი, ხოლო მისი წინამორბედი იყო მისი მამა ალბერ II (1993 — 2013 წლები). ორივე საქსენ-კობურგ-გოტიის დინასტიის წარმომადგენელია, რომელიც ქვეყანას 1831 წლიდან მართავს.

## სადილი 35 ათას დოლარად

ნიუ იორკში მდებარე რესტორანმა ოლდ ჰომესტეიდმა თავის კლიენტებს მადლიერების დღის დღესასწაულისთვის 35 ათასი დოლარის ღირებულების სადილი შესთავაზა. ამ თანხად მაგიდას ოთხი ადამიანი შემოუსხდება.

კერძებს შორის, რომლებსაც რესტორანი კლიენტებს შესთავაზებს, იქნება 24- კარატიანი საჭმელი ოქროს ბურღული, ტკბილი კარტოფილის პიურე შავი ხიზილალით, ახალგაზრდა მტრედი, გატარებული ფუა-გრა, შემწვარი ინდაური. მას კლიენტებს იაპონური ექსტრა-კლასის საქონლის ხორც ვაგიუსთან ერთად მიართმევენ და რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

დაწესებულების თანამფლობელმა მარკ შერიმ განაცხადა, რომ სადილის თანხაში შედის ლიმუზინით მომსახურება, რომელიც კლიენტებს სახლიდან რესტორანში მიიყვანს და ასევე ცეკვის გაკვეთილი, რომელსაც ერთ-ერთი ადგილობრივი სტუდიის წარმომადგენელი ჩაატარებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მაღალსართულიან კორპუსებში ებოლას წინააღმდეგ მებრძოლი“ თაღლითები გამოჩნდნენ

თბილისის მაღალსართულიან კორპუსებში, ცოტა ხნის წინ დანერგილი და გავრცელებული ე.წ. სანჰიგიენური აფიორა, როგორც ჩანს, კიდევ უფრო დაიხვეწა და თანამედროვე სახე მიიღო.

როგორც ამაზე არაერთგზის დაწერილა, გაურკვეველი წარმომავლობის ადამიანები კორპუსის მოსახლეობას, თითქოსდა კორპუსის სანიტარული უსაფრთხოებისა და მისი დეზინფექციის მიზნით, გარკვეულ თანხას მოტყუებით სძალავდნენ.

თანხის რაოდენობა მაქსიმუმ 2 ლარს შეადგენს, რაც ის ციფრი ნამდვილად არაა, რომ ოჯახის ბიუჯეტზე კატასტროფულად აისახოს და ალბათ ესეც არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ საზოგადოების მხრიდან ამ ფაქტს მკვეთრი რეაქცია არ მოჰყოლია და ისინი მომხდარის შესახებ სამართალდამცავებს არ ატყობინებენ.

ასევე, ე.წ. სანიტრებს თან აქვთ ჩვეულებრივ პრინტერზე ამობეჭდილი მცირე ზომის გაურკვეველი „ქვითარი“ კიდევ უფრო გაურკვეველი ბეჭდით. ქვითარი ირწმუნება, რომ მისმა მიმღებმა, საკუთარი კორპუსის სისუფთავის უზრუნველყოფაში თავისი წვლილი უკვე შეიტანა და ერთი ან ორი ლარი გადაიხადა.

„ნიუსპრესის“ ცხელ ხაზს, თბილისში, სამგორის რაიონის წმინდა ბარბარეს დასახლებაში (ზმკ) მცხოვრები ქალბატონი დაუკავშირდა, რომელმაც იმის შესახებ, რომ თაღლითობის მსხვერპლი გახდა, მას შემდეგ შეიტყო, რაც საკუთარი კორპუსის „დეზინფექცირებისთვის“ ორი ლარი გადაიხადა.

*— ვინ იყვნენ და როგორ წარმოგიდგნენ როდესაც კორპუსის სადეზინფექციოდ ფული გთხოვეს?*

— ორნი იყვნენ, ქალი და შედარებით ახალგაზრდა ბიჭი. მითხრეს, კორპუსს დეზინფექცია უნდა ჩაუტარდეს, რადგან ზამთრის სეზონის მოახლოებასთან ერთად სხვადასხვა დაავადების რისკი მატულობს და მოსახლეობა რომ დაცული იყოსო.

*— კონკრეტულად რა დაავადებებს ასახელებდნენ?*

— რამდენიმე დაავადება დაასახელეს, მათ შორის მენინგიტი და ებოლა დამამახსოვრდა. მითხრეს, რომ მთელი მსოფლიო ამ ახალ ვირუსს ებრძვის და ჩვენც პროფილაქტიკურ სამუშაოებს ვატარებთო.

*— თუ კითხეთ სად მუშაობდნენ ან რომელი ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ?*

— ვკითხე და მიპასუხეს კიდევაც, თუმცა მათ მიერ ნათქვამი ორგანიზაციის ზუსტი დასახელება აღარ მახსოვს. ისიც მითხრეს, ვინმე აფერისტები არ გეგონოთ, ფულს რომ გადაიხდით ოფიციალურად ბეჭდიან ქვითარს გაძლევთო.

*— და თუ არ გადაიხდიდით?*

— თუ არ გადაიხდი, სხვები მოვლენ და შეიძლება კარგა მოზრდილი ჯარიმაც გამოგიწერონო. ნამდვილად არ მქონდა იმის დრო და თავი, რომ ბოლომდე ჩავძიებოდი და ორი ლარი მივეცი, თუმცა ისე წავიდნენ, ქვითარიც არ დაუტოვებიათ.

ნიუსპრესი

## მოსკოვში ნადეჟდა სავჩენკოს მხარდამჭერი აქცია ჩატარდა



მოსკოვში სახელმწიფო დუმის შენობასთან უკრაინელი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს მხარდამჭერი აქცია ჩატარდა. „თავისუფლება ნადეჟდა სავჩენკოს!“, „მოვითხოვთ, რომ რუსეთმა სუვერენული უკრაინის საქმეებში ჩარევა შეწყვიტოს!“— სკანდირებდნენ აქციის მონაწილენი.

ნადეჟდა სავჩენკო ჯერჯერობით კვლავ პატიმრობაში რჩება. ის უკრაინის ახლად არჩეული პარლამენტის დეპუტატია. მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლება მის გათავისუფლებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### მაყვალა კოხრეიძის გახსენება

ჩვენო საყვარელო დედა, ამქვეყნიდან შენი წასვლის მე-40 დღეა. დაგვიტოვე დიდი სევდა და მონატრება. სიყვარულით უმასპინძლდებოდი ყველას. უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაყრილი მიწა.

შენი შვილები ნინო, აზა, მარინა, თამრიკო, ინგა, დეიდაშვილი თემურ ჭელიძე

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბჰბც უფჰლფ7 !@–ლფყ!& ცფფსფვლტ8



## h℥χცϱχ℥ლბ ,

**შვეულად:** 1. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. სანადირო თოფების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 5. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთში; 6. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 7. აეროპორტი სტოკჰოლმში; 11. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 13. შტატი აშშ-ში; 14. ბუდისტთა მღვდელი იაპონიასა და ჩინეთში; 15. რიგითი მეზღვაური; 16. პურეული მცენარე; 17. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 19. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია; 20. ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტსახელი.

**თარაზულად:** 1. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 4. მოძრავი სცენა თეატრში; 8. მემკვიდრეობითი ტიტული ბრიტანეთში; 9. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 10. ტბა სომხეთში; 12. უნგრელი კომპოზიტორი, მრავალი ოპერეტის მუსიკის ავტორი; 14. ირლანდიური როკ-ჯგუფის „იუთუ“-ს ლიდერი; 15. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 16. მტრედის ბარტყი; 18. ღვინის დანალექი; 21. მდინარე ევროპაში; 22. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 23. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### ობყფ ყχვტ℥იბ ეფვχმϱტ.ყტ,ეჯბ h℥χცϱχ℥ლტ,ბც გფცეℓტ,ბ5

#### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ამპერი; 2. სოკერი; 3. რაუტი; 5. „უშბა“; 6. კაკაჩი; 8. სტურუა; 11. სენკევიჩი; 13. არომატი; 14. „კაბერნე“; 15. სისტემა; 19. ნიცა.

**თარაზულად:** 1. „ალადასტური“; 4. „გატუიკი“; 7. პოპლიკა; 9. ტერტერა; 10. „ოსერი“; 12. ბოროდინი; 16. „ხანჯლური“; 17. ბოჰემია; 18. „პერგამონი“; 20. „ჩამპინო“; 21. ჯიპი; 22. ანოტაცია.

#### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მწუხრი; 2. უწყება; 3. „ვიში“; 5. ბაწარა; 6. ქცევა; 7. რეგალია; 11. მერსიე; 13. სვანეთი; 14. ფიფქი; 15. მერკელი; 16. სექტორი; 17. ფაცერი; 19. აზოტი; 20. სარი.

**თარაზულად:** 1. მოურავი; 4. კოლბა; 8. შნეკი; 9. წათე; 10. „ხორუმი“; 12. ფაიფური; 14. ფესი; 15. „მალვაზია“; 16. სუფლე; 18. კუკია; 21. „ციცია“; 22. რეგრესი; 23. ტერტერა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1.8367 |
| ევრო | — 2.2887 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2.8915 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.9563 |

## ამინდის პროგნოზი 29 ნოემბრისთვის






### კალეიდოსკოპი

## შრი-ლანკაში სპილომ ორი ადამიანი გასრისა



— შრი-ლანკაში სპილო ბუდისტების ბრბოში შეიჭრა, რომლებიც ქალაქ ანურადჰაპურში წმინდა ხესთან იყვნენ შეკრებილნი და ორი მომლოცველი გასრისა, — იტყობინება ფრანს-პრესი. ამის შემდეგ ცხოველი ძილის წამლის შემცველი ტყვიით დააძინეს და ფეხები შეუკრეს. გარკვეული დროის მერე სპილოს ჯუნგლებში გადაყვანაა დაგეგმილი.

ცხოველის ასეთი აგრესიულობის მიზეზი დაუდგენელია. სააგენტო აღნიშნავს, რომ კუნძულზე მსგავსი ტრაგიკული შემთხვევები დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

სპილოებს შრი-ლანკაში ეთაყვანებიან, როგორც წმინდა ცხოველებს და მათ კანონი იცავს. 1900 წლისთვის კუნძულზე მათმა რაოდენობამ 12 ათას სულს მიაღწია. ამჟამად კი შრი-ლანკაში მათი რიცხვი 7,5 ათასს აღწევს. მათი რაოდენობის შემცირება ფერმერების მიერ მათზე ნადირობამ გამოიწვია.

ქალაქ ანურადჰაპურში მდებარე ხე, ჯაია შრი მახა ბოდხი, საკრალურია ბუდისტებისთვის. ის ხე ბოდხის ამონაყარია, რომლის ქვეშაც, გადმოცემის თანახმად, პრინცი გაუტამა განათლდა და ბუდად გარდაისახა. წმინდა ხე მიწის ზედაპირიდან 6,5 მეტრი სიმაღლის ტერასაზე დგას. XVIII საუკუნეში ჯაია შრი მახა ბოდხის გარშემო მისი გარეული სპილოებისგან დასაცავად ღობე აღმართეს.

## ფერმერს სიყვარულის ახსნაში ცხვრები დაეხმარნენ




ფერმერმა სამხრეთ ინგლისიდან შეყვარებულს ხელი ცხვრებზე გაკეთებული წარწერის დახმარებით სთხოვა. ამ ინფორმაციას „დეილი მირორი“ ავრცელებს.

გამოცემის მონაცემებით, იმისთვის, რათა მეგობარი გოგონასთვის ხელი ეთხოვა, მამაკაცმა, რომლის ვინაობა უცნობია, ხუთ ცხვარს წითელი საღებავით დააწერა ხელის თხოვნის წინადადება. ამასთან, თუ ზუსტად რა აწერია ერთ-ერთ მათგანს, უცნობია.

ცხვრების სურათი საკუთარ ტვიტერში ფერმერის ახლობელმა, პოლიციელმა ალექს მიურეიმ გამოაქვეყნა. მისი თქმით, გოგონამ წინადადებაზე თანხმობით უპასუხა.

ხელის თხოვნის ექსტრავაგანტური მცდელობები ყოველთვის წარმატებით არ მთავრდება. მიმდინარე წლის ნოემბრის დასაწყისში ჩინელმა ყმაწვილმა თავისი სატრფოსთვის 99 სმარტფონის აიფონ 6-გან გული გამოსახა, თუმცა ამით გოგონაზე შთაბეჭდილების მოხდენა ვერ მოახერხა და გოგონასგან უარი მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# 2 დეკემბრიდან!

## „ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი

## მაკა სეფაშვილის „დანაშაული აღარ მოხდება“

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად




## ელენე გლურჯიძე ბალეტიდან მიდის



ეკა ირემაშვილი

ინგლისის ნაციონალური ბალეტის წამყვანი ქართველი მოცეკვავე, ელენე გლურჯიძე, საბალეტო კარიერას ასრულებს და ბალეტიდან მიდის. ამის შესახებ მოცეკვავემ თავად განაცხადა.

ქართველი ბალერინა საბალეტო დასში 12 წლის განმავლობაში ცეკვავდა. ის წამყვან პარტიებს ასრულებდა ბალეტებში „მაკნატუნა“, „გედების ტბა“, „ჟიზელი და მანონი“. მან თავისი ცეკვის მანერით მაყურებელი არაერთხელ მოაჯადოვა და სხვადასხვა დაჯილდოების ცერემონიალზეც გაიმარჯვა. ის წარდგენილი იყო ნომინაციაში საუკეთესო მოცეკვავე და ორჯერ მაყურებლის სიმპათიაც გახდა. ელენე გლურჯიძის „მომაკვდავი გედი“ კარლ ლაგერფელდის მუზადაც იქცა. ქართველმა ბალერინამ საბალეტო განათლება თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში და სანკტ-პეტერბურგის ვაგანოვას სახელობის რუსული ბალეტის აკადემიაში მიიღო. ინგლისის ნაციონალური ბალეტის დასის „გედების ტბასა“ და „მანონში“ მთავარი პარტიების შესრულებამ განაპირობა ლეგენდარული მოდის სახლის „შანელის“ კრეატიული დირექტორის არჩევანიც, ნაციონალური ბალეტის საიუბილეო წლისთვის კარლ ლაგერფელდმა სწორედ ელენესთვის შექმნა „მომაკვდავი გედის“ ექსკლუზიური

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## იუმორი



●●●

სამარშრუტო ტაქსში მგზავრი მძღოლს მიმართავს:

— თუ შეიძლება, იმ წითელი ფერის მერსედესთან გამიჩერეთ!

— წითელი მერსედესი დაიძრა და გავეკიდო? — ეკითხება მძღოლი.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

— არ გინდა, შესანიშნავი დასვენების დღეები მოვიწყოთ?

— რა თქმა უნდა, მინდა.

— ჰოდა, აბა, კარგად, ორშაბათამდე...

●●●

კაცი ბარში შევა და ბარმენს ეკითხება:

— დასალევი რა გაქვს?

— წყალი.

— რაიმე მაგარი არაფერი გაქვს?

— როგორ არა, ყინული.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

— გუშინ ჩემი მეზობლის ჭუჭყიან მანქანაზე დავაწერე: ,,გამრეცხე!“

— და მერე, გარეცხა?

— დღეს დილით ვნახე და ჩემი წარწერის ქვეშ მიეწერა: ,,მოდი და გაგრეცხავ“.

●●●

სომეხს ეკითხებიან:

— სეროჟ, შენი ცოლი ბრაზიანია?

— ვაა, განა სჯანია, რო ბრაზიანი იყოს! ნამდვილი სომეხია.

●●●

მეძავის გასვენებაში ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— როგორც იქნა, ერთად არიან.

— ვინ?

— ფეხები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## შალვა რამიშვილი მეოთხე ბიჭის მამა გახდება

ეკა ირემაშვილი

ტელეწამყვანი შალვა რამიშვილი საახალწლოდ მეოთხე შვილის მამა გახდება. მას მეოთხეც ბიჭი ეყოლება. შალვას მეოთხე შვილს ამჟამინდელი მეუღლე ხატია ეკიზაშვილი გაუჩენს. ხატია ანსამბლ „სუხიშვილების“ დირექტორის მოადგილეა. მათი სიყვარულის ამბავი ორი წლის წინ გახდა ცნობილი და საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ შალვას უკვე ჰყავდა მეუღლე თეა აბაშმაძე და სამი ბიჭი, ამას ტელეწამყვანისთვის ხელი არ შეუშლია, ახალი ოჯახი შეექმნა. მიუხედავად იმისა, რომ შალვა რამიშვილს ციხეში ყოფნის დროს თეას მხარდაჭერა არ მოჰკლებია, როგორც ჩანს, პატიმრობაში ტელეწამყვანმა რაღაც-რაღაცები გადააფასა და ახალი ცხოვრება დაიწყო. შალვას ახალი ოჯახის შექმნის შემდეგ მისი ყოფილი მეუღლე თეა აბაშმაძე მედიასთან აღარ ურთიერთობს.



შალვა რამიშვილმა და ხატია ეკიზაშვილმა ჯვარი შარშან დაიწერეს. როგორც წყვილი აღნიშნავს, ერთმანეთს ენდობიან, არ არიან ეჭვიანები და ეს მათთვის უმთავრესია. ხატიას არც მაშინ უეჭვიანია, როცა შალვა რამიშვილი თავის პირველ შეყვარებულთან თიკა კანდელაკთან დაბადების დღეზე წავიდა. ეს ფაქტი ტელეწამყვანის მეუღლემ ასე ახსნა:

„არ მიეჭვიანია. ჩვენ ზრდასრული ადამიანები ვართ და, რაც მთავარია, ერთმანეთს ვენდობით. ჩემი პირველი სიყვარული ჩემი პარალელურკლასელი იყო. დღეს ეს ორივეს ძალიან სასაცილოდ გვახსენდება. მის დაბადების დღეზე რომ წავიდე, შალვამ უნდა იეჭვიანოს?“

როგორც შალვა აცხადებს, მეუღლე საკმაოდ ობიექტური ჰყავს და მისი გადაცემის შეფასებისას კრიტიკასაც არ ერიდება. შალვა რამიშვილი ამჟამად ტელეკომპანია „იმედში“ მუშაობს და ყოველ შაბათს „შალვა რამიშვილის შოუ“ მიჰყავს, კვირაობით კი ნანიკო ხაზარაძესთან, ეკა ხოფერიასთან, დუტა სხირტლაძესთან და ინგა გრიგოლიასთან ერთად „იმედის კვირის“ თანაწამყვანია.

## 29 ნოემბერი _ წარმატებული დღეა

### fcnhjghjuyjpb

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** — ნუ აჩქარდებით, არ ღირს. **ტყუპები** — გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** — მშვენიერი დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ქალწული** — არ გარისკოთ, ის საქმე გააგრძელეთ, რომელსაც აკეთებდით. **სასწორი** — ფული გექნებათ, პრობლემას მოევლება. **ღრიანკალი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან საინტერესო ამბები ბრუნდება, არ ელოდით! **თხის რქა** — მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, მათგან ახალ ამბავს გაიგებთ. **მერწყული** — მთლიანობაში ხალისიანი დღე გამოგივათ. **თევზები** — ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, ამ ფაქტით კმაყოფილი ხართ.

## 30 ნოემბერი _ საინტერესო დღეა

**ვერძი** — გელით სიახლე და კარგი ამბები! **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემას მოევლება. **ტყუპები** — იაქტიურეთ, ჩრდილში ყოფნის დრო არ არის. **კირჩხიბი** — ახალი საქმე დაგაინტერესებთ, ფოლიც გექნებათ. **ლომი** — დიდძალი ქონების პატრონი გახდებით, თავში არ აგივარდეთ. **ქალწული** — ბევრი საქმე გაქვთ და ცოტა დრო გრჩებათ საკუთარი თავისთვის. **სასწორი** — არ აყვეთ პროვოკაციას! **ღრიანკალი** — თავდაჯერებული ხართ, ასე განაგრძეთ. **მშვილდოსანი** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** — თქვენი საქმე კარგად აეწყობა, ახალ ბიზნესსაც წამოიწყებთ. **მერწყული** — ფიქრებში ხართ, ჩამოდით მიწაზე! **თევზები** — დროდადრო ცუდ ხასიათზე ხართ, გამხიარულდით, ახლა თქვენი დროა!

უბცეჰლტ,ს ,ტლყბტჰ ლქტც=

## hჰჯცეჯჰლბ ფ



**შვეულად:** 1. ლირიკული სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 2. ქალების საცხოვრებელი განცალკევებული სადგომი მუსლიმანურ სახლებში; 3. წყალსა და წებოში განზავებული სახატავი საღებავი; 5. გერმანიის ნაკრებისა და მიუნჰენის „ბავარიას“ ფეხბურთელი; 6. იტალიელი მოქანდაკე, ოქრომჭედელი; 8. მონასტერი სამაჩაბლოში; 11. ოლქი ირანში; 13. ქართული მინერალური წყალი; 14. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში; 15. მობილური კავშირგაბმულობის სისტემა საქართველოში; 19. ხვიარა, მცოცავი მარადმწვანე მცენარე.

**თარაზულად:** 1. გერმანიის პარლამენტი; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 9. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 10. ფრანგი კარიკატურისტი; 12. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 16. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოების პერსონაჟი; 17. შუაკაცი მოდავეთა შორის, მედიატორი; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. მზის სისტემის პლანეტა; 21. კოღოს ძველი ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა